# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

# 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

| | |
|---|---|
| [illegible] აუდიტორთა დასკვნა | 3 |
| [illegible] შედეგმარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება | 6 |
| [illegible] ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება | 7 |
| [illegible] ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება | 8 |
| [illegible] ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება | 9 |
| კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 10 |




„KPMG Georgia“
BMT Plaza,
ქართული, თავისუფლების მოედანი 4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამეთვალყურეო საბჭოს.

### *დასკვნა*

ჩვენ ჩავატარეთ სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” (შემდგომში- „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყოველგვარ მატერიალურ ასპექტში, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობას და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

### *დასკვნის საფუძველი*

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტურ შემოწმებაზე. ჩვენ ვსაქმიანობთ ჯგუფისგან დამოუკიდებლად პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომელიც შეესაბამება საქართველოში ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს და შევასრულეთ ჩვენი ეთიკური პასუხისმგებლობები აღნიშნული მოთხოვნების და ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტური მტკიცებულებები, წარმოადგენს აუდიტური დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

### *ხელმძღვანელობის ანგარიში*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ხელმძღვანელობის ანგარიშზე. ხელმძღვანელობის ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის წინამდებარე აუდიტური დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებებზე არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და არ გამოხატავს რაიმე ფორმის გარანტირებულ დასკვნას შეფასების შედეგების მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა ხელმძღვანელობის ანგარიშის წაკითხვა და შემდგომ განხილვა არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტის შედეგად მიღებულ ჩვენს ინფორმაციასთან ან სხვაგვარად არის თუ არა არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ წავიკითხეთ ხელმძღვანელობის ანგარიში და გამოვიტანეთ დასკვნა შემდეგზე:

__ შეესაბამება თუ არა სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;

__ მოიცავს თუ არა სხვა ინფორმაცია ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ.

შპს „KPMG Georgia“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნებულ კომპანიას, შვეიცარიული საწარმოს „KPMG International Cooperative“-ის (შემდგომში – “KPMG International”) მიერ აფილირებული დამოუკიდებელი წევრი კომპანიების KPMG ქსელის წევრ კომპანიას.

შპს "ლაინ +" LTD * TRANSLATION COMPANY * 405120514 * "LINE +" LLC

[illegible]ს სახელმწიფო ელექტროსისტემა
[illegible]ებელ აუდიტორთა დასკვნა
[illegible] 2

[illegible]ობის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მართვაზე [illegible]ებელ პირთა პასუხისმგებლობები

[illegible]ობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების [illegible] ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მომზადებასა და [illegible]ინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, [illegible]ობის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდის ისეთი კონსოლიდირებული [illegible] ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად [illegible]ებულ არსებით უზუსტობებს..

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის შესაძლებლობების შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

*აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე*

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობისან შეცდომის შედეგად დაარსებითად მოიაზრებოდეს, თუ მათ შეუძლია, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

— ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობისან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთია უდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგადწარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
— ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
— ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
— გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვეცნობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთო ფორმით, რომ უზრუნველყოფილი იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა
- ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე და მის ზედამხედველობაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტურ დასკვნაზე..

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

აუდიტის პარტნიორს, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, წარმოადგენს:

კარენ საფარიანი

---------- /ხელმოწერილია და დამოწმებულია ბეჭდით/

შპს KPMG Georgia

2020 წლის 24 ივნისი

"LINE +" LTD
TRANSLATION COMPANY
405120514
"ЛАЙН +" ООО

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| **[illegible] აქტივები** | | | |
| [illegible] | 9 | 1,011,132 | 983,872 |
| [illegible] | | 5,656 | 2,486 |
| [illegible] აქტივებზე გადახდილი | | 6,244 | 20,787 |
| [illegible] და სხვა მოთხოვნები | 10 | 1,211 | 6,140 |
| **[illegible] მოკლევადიანი აქტივები** | | **1,024,243** | **1,013,285** |
| **[illegible] აქტივები** | | | |
| [illegible] | | 14,753 | 12,944 |
| [illegible] და სხვა მოთხოვნები | 10 | 29,749 | 27,961 |
| [illegible] ავანსები | | 1,747 | 4,759 |
| [illegible] და ფულის ექვივალენტები | 11 | 101,430 | 71,016 |
| **[illegible] მოკლევადიანი აქტივები** | | **147,679** | **116,680** |
| **[illegible] აქტივები** | | **1,171,922** | **1,129,965** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| [illegible] კაპიტალი | 12 (a) | 645,065 | 642,677 |
| [illegible] კაპიტალი | | 11,259 | 11,259 |
| [illegible] ვალუტის გადაცვლის რეზერვი | | 430 | 473 |
| [illegible] გადახდილი კაპიტალი | 12(e) | 11,680 | - |
| [illegible] დეფიციტი | | (751,016) | (781,491) |
| **კომპანიის მფლობლებისთვის მიკუთვნებული კაპიტალი** | | **(82,582)** | **(127,082)** |
| არასაკონტროლო წილი | | 300 | - |
| **სულ კაპიტალი** | | **(82,282)** | **(127,082)** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| სესხები და კრედიტები | 14 | 967,792 | 481,410 |
| რესტრუქტურიზებული ვალდებულებები | 15 | 23,113 | 36,874 |
| აქტივებთან დაკავშირებული გრანტები | 16 | 102,736 | 105,579 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **1,093,641** | **623,863** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სესხები და კრედიტები | 14 | 82,525 | 556,458 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 17 | 55,936 | 54,760 |
| რესტრუქტურიზებული ვალდებულებები | 15 | 19,267 | 17,000 |
| აქტივებთან დაკავშირებული გრანტები | 16 | 2,835 | 4,966 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **160,563** | **633,184** |
| **სულ ვალდებულებები** | | **1,254,204** | **1,257,047** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **1,172,922** | **1,129,965** |

* ჯგუფმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16, 2019 წლის 1 იანვარს. თუმცა ეფექტი არ არის არსებითი. გადასვლის შერჩეული მეთოდების შესაბამისად, შედარებითი ინფორმაცია არ არის ხელახლა ფორმულირებული. იხილეთ შენიშვნა 5.



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 42გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს..

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| [illegible] | 6 | 235,010 | 227,050 |
| [illegible] | | 7,648 | 9,767 |
| [illegible] და ანაზღაურება | | (31,089) | (27,565) |
| [illegible] და ამორტიზაცია | | (45,121) | (46,924) |
| [illegible] საშუალებების გაუფასურება | 9 | (5,038) | (42,705) |
| [illegible] საოპერაციო ხარჯები | 7 | (64,408) | (53,878) |
| **[illegible] საოპერაციო საქმიანობებიდან** | | 97,002 | 65,745 |
| ფინანსური შემოსავალი | 8 | 14,595 | 7,779 |
| ფინანსური ხარჯები | 8 | (81,122) | (26,739) |
| **[illegible] ფინანსური ხარჯები** | | (66,527) | ( 18,960) |
| **მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე** | | 30,475 | 46,785 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | | |
| **მოგება წლის განმავლობაში** | | 30,475 | 46,785 |
| **სხვა სრული შემოსავალი /(ზარალი)** | | | |
| *ანგარიშგების ელემენტები, რომელთა რეკლასიფიკაცია შესაძლებელია მოგებაში ან ზარალში* | | | |
| უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული | | (43) | (42) |
| უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები | | 30,432 | 46,743 |
| **სულ სრული მოგება წლის განმავლობაში** | | | |
| **მოგება, მიკუთვნებული:** | | 30,475 | 46,785 |
| კომპანიის მფლობელებისთვის | | | |
| არასაკონტროლო წილი | | 30,475 | 46,785 |
| სულ სრული შემოსავალი, მიკუთვნებული: | | 30,432 | 46,743 |
| კომპანიის მფლობელებისთვის | | | |
| არასაკონტროლო წილი | | 30,432 | 46,743 |

* ჯგუფმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16, 2019 წლის 1 იანვარს. თუმცა ეფექტი არ არის არსებითი. გადასვლის შერჩეული მეთოდების შესაბამისად, შედარებითი ინფორმაცია არ არის ხელახლა ფორმულირებული. იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 24 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ.

---------- /ხელმოწერილია/ ---------- /ხელმოწერილია/

უჩა უჩანეიშვილი
რეაბილიტაციის მენეჯერი

მამუკა სხილაძე
მმართველთა საბჭოს წევრი.

შპს "ლაინ +" * "LINE + LTD" * ООО "ЛАЙН +" * TRANSLATION COMPANY 405120514

| '000 ლარი | საქციო კაპიტალი | დაურეგისტრირებელი კაპიტალი | საკურსო რეზერვი | დაგროვილი დეფიციტი | დაფარვადი გადასახდელი კაპიტალი | სულ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს | 639,052 | 11,259 | 515 | (828,276) | - | (177,430) | | |
| **სულ სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის** | | | | | | | | |
| მოგება წლის განმავლობაში | - | - | - | 46,785 | - | 46,785 | - | 46,785 |
| **სხვა სრული ზარალი** | | | | | | | | |
| უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები | - | - | (42) | - | - | (42) | - | (42) |
| **სულ სხვა საერთო ზარალი მოცემული წლისთვის** | - | - | (42) | - | - | (42) | - | (42) |
| **სულ საერთო მოგება მოცემული წლისთვის** | - | - | (42) | 46,785 | - | 46,743 | - | 46,743 |
| **შენატანები მფლობელების მიერ** | | | | | | | | |
| მფლობელის ფულადი შენატანები | 1,900 | - | - | - | - | 1,900 | - | 1,900 |
| მფლობელის არაფულადი შენატანები (იხ. შენიშვნა 9) | 1,725 | - | - | - | - | 1,725 | - | 1,725 |
| **სულ შენატანები მფლობელების მიერ** (იხ. შენ. 12(ა)) | 3,625 | - | - | - | - | 3,625 | - | 3,625 |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | 642,677 | 11,259 | 473 | (781,491) | - | (127,082) | - | (127,082) |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს | 642,677 | 11,259 | 473 | (781,491) | - | (127,082) | - | (127,082) |
| **სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის** | | | | | | | | |
| მოგება წლის განმავლობაში | - | - | - | 30,475 | - | 30,475 | - | 30,475 |
| **სხვა სრული ზარალი** | | | | | | | | |
| უცხოურ ოპერაციებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები | - | - | (43) | - | - | (43) | - | (43) |
| **სულ სხვა საერთო ზარალი მოცემული წლისთვის** | - | - | (43) | - | - | (43) | - | (43) |
| **სულ სრული მოგება წლის განმავლობაში** | - | - | (43) | 30,475 | - | 30,432 | - | 30,432 |
| **შენატანები მფლობელების მიერ** | | | | | | | | |
| მოდიფიკაციის ეფექტი დაკავშირებული მხარის სესხზე ფინანსთა სამინისტროდან (შენ 13) | - | - | - | - | 11,680 | 11,680 | - | 11,680 |
| მფლობელის შენატანები - არაფულადი (იხ. შენ 9) | 2,388 | - | - | - | - | 2,388 | - | 2,388 |
| **სულ შენატანი მფლობელების მიერ** (იხ. შენ 12(a)) | 2,388 | - | - | - | 11,680 | 14,068 | - | 14,068 |
| **ცვლილებები საკუთრების წილში** | | | | | | | | |
| შვილობილი კომპანიის შექმნა არა-საკონტროლო წილით (იხ. შენ. 22) | - | - | - | | | | 300 | 300 |
| **სულ ცვლილებები საკუთრების წილში** | - | - | - | - | - | - | 300 | 300 |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | 645,065 | 11,259 | 430 | (751,016) | 11,680 | (82,582) | 300 | (82,282) |

* ჯგუფმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16, 2019 წლის 1 იანვარს. გადასვლის შერჩეული მეთოდების შესაბამისად, შედარებითი ინფორმაცია არ არის ხელახლა ფორმულირებული. იხილეთ შენიშვნა 5.



კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 42 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

| | შენიშ | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| [illegible] საოპერაციო საქმიანობიდან | | | |
| [illegible] გადასახადამდე | | 30,475 | 46,785 |
| [illegible]: | | | |
| [illegible] ამორტიზაცია | | 45,121 | 46,924 |
| [illegible] მასალების გაუფასურების | 9 | 5,038 | 42,705 |
| [illegible] მასალების გასხვისებით და | | | |
| [illegible] გამოწვეული ზარალი | | 4,751 | 7,441 |
| [illegible] ფინანსური ხარჯი | 8 | 66,527 | 18,960 |
| [illegible] გრანტების ამორტიზაციიდან | 16 | (4,988) | (4,970) |
| | | **146,924** | **157,845** |
| [illegible]: | | | |
| [illegible] | | (1,056) | (6,315) |
| [illegible] და სხვა მოთხოვნები | | 3,014 | (6,176) |
| [illegible]თან დაკავშირებული გრანტები | 16 | 15 | 2,788 |
| [illegible]ებზე გაცემული ავანსები | | 2,961 | (456) |
| [illegible] და სხვა ვალდებულებები | | 457 | 12,330 |
| **ფულადი ნაკადები განხორციელებული ოპერაციებიდან პროვიზიის გადახდამდე** | | **152,315** | **160,016** |
| გადახდილი პროცენტი | | (32,240) | (21,246) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო** | | **120,075** | **138,770** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო** | | | |
| მიღებული პროცენტი | | 14,595 | 6,636 |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა | | (62,826) | (88,458) |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **(48,231)** | **(81,822)** |
| **ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან** | | | |
| შემოსავლები სესხებიდან | | 15,815 | 32,381 |
| რესტრუქტურიზებული ვალდებულებების დაფარვა | | (17,000) | (15,000) |
| სესხების დაფარვა | | (40,502) | (52,628) |
| სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავლები | 12 (a) | - | 1,900 |
| **წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/ ფინანსური საქმიანობიდან** | | **(41,687)** | **(33,347)** |
| **წმინდა ზრდა ფულში და მის ექვივალენტებში** | | **30,157** | **23,601** |
| ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვარს | | 71,016 | 47,295 |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და მის ექვივალენტებზე | | 257 | 120 |
| **ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბერს** | 11 | **101,430** | **71,016** |

* ჯგუფმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16, 2019 წლის 1 იანვარს. გადასვლის შერჩეული მეთოდების შესაბამისად, შედარებითი ინფორმაცია არ არის ხელახლა ფორმულირებული. იხილეთ შენიშვნა 5.



ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება იკითხება შენიშვნებთან ერთად და წარმოადგენს 10-დან 42 გვერდამდე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

"LINE +" LTD TRANSLATION COMPANY 405120514 თარგმანი

## წარმდგენი ორგანიზაცია

საქმიანობა
სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი შემდგომში - „ჯგუფი“) წარმოადგენენ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით საქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებას და მოქმედს თურქეთის რესპუბლიკაში. იხ. შენიშვნა 22.

წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2002 წლის 12 ნოემბერს სს ტრანსფორმაციის“ და შპს „ელექტროდისპეჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად დაფუძნებულ საზოგადოებას და მათ სამართალმემკვიდრეს.

იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №2. კომპანისი რეგისტრაციის ნომერია # 5/4-3396.

მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის და დისპეჩერიზაცია, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ. შპს „ენერგოტრანსი“, ჯგუფის ძირითადი შვილობილი კომპანია, დაარსდა 2002 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოს სახით. შპს „ენერგოტრანსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გადაცემა, ექსპორტისა და ელექტროენერგიის მიწოდების ჩათვლით, ქარხისა და ზეკარი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზებისა და მესხეთის 400-კილოვოლტიანი შემაერთებელი ხაზის საშუალებით თურქეთთან, რომელიც გაყვანილ იქნა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ (BSTN) ფარგლებში. BSTN უზრუნველყოფს დამატებით უსაფრთხოებას საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელისთვის მეორე დასავლეთ-აღმოსავლეთ 500-კილოვოლტიანი ხაზის დამატების გზით და თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობის ხელშეწყობით. BSTN პროექტი დასრულდა 2013 წლის ბოლოს. ჯგუფი ახორციელებს თავის საქმიანობას ლიცენზიების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისაგან (შემდგომში - „სემეკი“) განუსაზღვრელი ვადით.

2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მშობელ და საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“ (მფლობელი). ჯგუფის მთავარ მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია 21 შენიშვნაში.

(ბ) **საქართველოს ბიზნეს გარემო**

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან..

## 2. მომზადების საფუძველი

(ა) **შესაბამისობის განცხადება**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

(ბ) **მნიშვნელოვანი შვილობილი კომპანიის უწყვეტი საქმიანობა (შპს ენერგოტრანსი)**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ენერგოტრანსის ხელმძღვანელობამ გაანალიზა საერთო ფინანსური შედეგები, დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან, გაითვალისწინა ქვემოთ მითითებული შემარბილებელი ფაქტორები და დაასკვნა, რომ შპს ენერგოტრანსს ექნება საკმარისი ლიკვიდურობა იმისათვის, რომ დაფაროს თავისი ვალდებულებები, გადახდის დროს და რომ ხელმძღვანელობის უწყვეტი საწარმოს შესახებ დაშვება ანგარიშგების თარიღისთვის, მართებულია.

მდგომარეობით, შპს ენერგოტრანსმა განიცადა წმინდა ზარალი, 26,426 ათასი (2018 წ: წმინდა ზარალი შეადგენდა 27,815 ათას ლარს), წმინდა მიმდინარე შეადგენდა 50,322 ათას ლარს (2018წ: წმინდა მიმდინარე ვალდებულება შეადგენდა 402,570

ის ზემოაღნიშნული დაშვება ეფუძნება შემდეგ ფაქტებს და შეფასებებს:

ათასი ლარის სესხები და კრედიტები გადასახდელია საქართველოს ფინანსთა ისტერისთვის, საერთო სესხების და კრედიტების ნაშთიდან, 564,903 ათასი ლარი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქვ-სესხის ხელშეკრულებების ვალდებულებას ფინანსური ინსტიტუტების მიმართ (EBRD, KfW და EIB, იხილეთ შენიშვნა 13), და ნაშთი, რომელიც შეადგენს ათას ლარ, გადასახდელია ფინანსთა სამინისტროსთვის.

მხარდაჭერის წერილი მიღებულია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე), წერილში საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოხატავს თავის განზრახვას და შესაძლებლობას უზრუნველყოს შპს ენერგოტრანსის შემდგომი ფინანსური და სხვა მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში, დაუშვას, რომ შპს ენერგოტრანსმა დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. შპს ენერგოტრანსის უნარი გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და დაფაროს თავისი ვალდებულებები თავის დროზე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მხარდაჭერაზე, რომელიც მიღებული იქნა წარსულში და ხელმძღვანელობა თვლის, რომ მოიპოვებს მომავალში საქართველოს მთავრობისგან (საბოლოო მაკონტროლებელი მხარე).

- შპს ენერგოტრანსის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფები გაიზრდება 2021 წლიდან, რაც გავლენას ახდენს შპს ენერგოტრანსის შემოსავალზე და შესაბამისად ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობას ვარაუდობს, რომ ელექტროენერგიის გადაცემის საქმიანობები გაიზრდება მოხმარების საერთო ზრდის შედეგად, რაც განაპირობებს ტარიფების ზრდას და შესაბამისად შპს ენერგოტრანსის შემოსავლების ზრდას. ბოლო პერიოდებში აღინიშნება მოხმარების ზრდა და ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალში.
- გარდა ამისა, შპს ენერგოტრანსი ინარჩუნებს ანაზღაურებად დღგ-ს, 5,699 ათას ლარს (2018 წ: 9,220 ათას ლარი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს შპს ენერგოტრანსის საგადასახადო ვალდებულებებში.

## 3. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის ყოველი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს ჯგუფის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველვალუტას, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს ოპერაციებს.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად განსაზღვრულიშემთხვევებისა.

## 4. შეფასებების და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფასს"-თან შესაბამისობაში, რაც მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან ისეთ მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან..

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა..

გამოყენებისას კრიტიკული მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, შენიშვნებში.

– შპს ენერგოტრანსი - ეკონომიკური დამოკიდებულება საბოლოო მაკონტროლებელ

– სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას;
– კონსოლიდაცია: აქვს თუ არა ჯგუფს კონტროლი ინვესტიციის მიმღებზე. და
24(ზ)(iv) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

შენიშვნაში განსაზღვრულია დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობა, რომლებსაც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკი:

– შენიშვნა 9(გ) – ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება: მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ანაზღაურებად თანხებს, მათ შორის ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადობას.

### სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის გარკვეული საღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

– *დონე 1*: კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის..
– *დონე 2*: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული..
– *დონე 3*: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასების დაშვების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 18 (ა) – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება.

## 5. ცვლილებები მნიშვნელოვან საღრიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 16 *იჯარები* 2019 წლის 1 იანვრიდან. ფასს 16 ითვალისწინებს ერთიან საბალანსო უწყისის აღრიცხვის მოდელის დანერგვას მოიჯარეებისთვის, რაც ნიშნავს, რომ მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლების ფორმით, რომელიც წარმოადგენს მის უფლებას გამოიყენოს საბაზო აქტივები და საიჯარო ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. მეიჯარის აღრიცხვაში არ განხორციელებულა ცვლილება ფასს 16-ის მიღების შედეგად. ფასს 16 შეცვალა არსებული საიჯარო სახელმძღვანელო, მათ შორის ბასს 17, *იჯარები*, ფაისკ 4 *როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას*, იმკ (SIC) 15-ს - *საოპერაციო იჯარა - სტიმულები* და იმკ (SIC) 27-ს - *გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.*

2019 წლის 1 იანვრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 16-ის მიღებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

არსებული სტანდარტების სხვა ახალი ინტერპრეტაციები და შესწორებები ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელსაც არსებითი გავლენა არ აქვს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| [illegible] კლიენტებთან გაფორმებული | 182,438 | 181,778 |
| [illegible] ელექტროენერგიის გადაცემიდან | 44,143 | 32,756 |
| [illegible] ელექტროენერგიის ექსპორტიდან | 5,221 | 12,264 |
| [illegible] ტრანზიტიდან | 1,680 | 202 |
| [illegible] | 1,528 | 50 |
| [illegible]ები | **235,010** | **227,050** |

[illegible] ექსპორტიდან მოიცავს შემოსავლებს ელექტროენერგიის გადაცემიდან და დისპეჩერიზაციიდან.

[illegible] განისაზღვრება სემეკ-ის მიერ დადგენილი გადაცემის და დისპეჩერიზაციის ტარიფების [illegible]. ტარიფები არ შეცვლილა 2018 წლიდან.

## [illegible] კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების დაყოფა

[illegible] ცხრილში კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები დაყოფილია [illegible] გეოგრაფიული ბაზრების, მთავარი შემოსავლების ნაკადების და შემოსავლის აღიარების ვადების [illegible].

| '000 ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| [illegible] გეოგრაფიული ბაზრები | | |
| [illegible] | 233,330 | 226,848 |
| [illegible] | 1,680 | 202 |
| საერთო შემოსავლები | **235,010** | **227,050** |

## (ბ) საკონტრაქტო ნაშთები

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მოთხოვნების, საკონტრაქტო აქტივების და საკონტრაქტო ვალდებულებების შესახებ კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

| '000 ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| მოთხოვნები, რომლებიც შეტანილია „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“ | 26,537 | 23,554 |

ბიზნეს ოპერაციების ბუნების გამო, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან საკონტრაქტო ნაშთები არ არსებობს.

## (გ) შესრულების ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკა

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს როდესაც გადასცემს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე კლიენტს, იხილეთ შენიშვნა 24(ხ).

## 7. სხვა საოპერაციო ხარჯები

| '000 ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| დაკარგული ელექტროენერგიის ხარჯი* | 29,561 | 22,157 |
| საურავები სესხების გადაუხდელობაზე (შენ. 14 (ბ)) | 8,337 | 4,961 |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა | 5,675 | 6,509 |
| დაცვის ხარჯები | 2,894 | 2,704 |
| აუდიტის და კონსულტაციის ხარჯები | 2,308 | 7,002 |
| ტრანსპორტირების ხარჯები | 1,858 | 1,753 |
| სამივლინებო ხარჯები | 1,776 | 1,579 |
| სადაზღვევო ხარჯები | 1,654 | 1,196 |
| ტექნიკური მომსახურების და რემონტის ხარჯები | 1,304 | 750 |
| ჯარიმები | 769 | 1,424 |
| სხვა | 8,272 | 3,843 |
| | **64,408** | **53,878** |

*2018 წლის 4 მაისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ჯგუფი ვალდებულია აანაზღაუროს დაკარგული ელექტროენერგიის ხარჯი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისთვის (ესკო) გადაცემის პროცესში.

## [illegible]სავალი და ფინანსური ხარჯი

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| [illegible]ოგებაში ან ზარალში | | |
| [illegible] შემოსავალი საბანკო ნაშთებზეs | 14,595 | 6,636 |
| [illegible]ობით გამოწვეული წმინდა მოგება | - | 1,143 |
| [illegible]ური შემოსავალი | **14,595** | **7,779** |
| [illegible]ული ხარჯი სესხებზე და კრედიტებზე | (20,804) | (20,940) |
| [illegible] ამორტიზაცია რესტრუქტურიზებულ | (4,825) | (5,799) |
| [illegible]ობით გამოწვეული წმინდა ზარალი | (55,493) | - |
| [illegible]სური ხარჯები | **(81,122)** | **(26,739)** |
| [illegible] ფინანსური ხარჯი აღიარებული მოგებაში ან [illegible] | **(66,527)** | **(18,960)** |

[illegible] წლის კომპანიამ მოახდინა სესხებსა და კრედიტებზე პროცენტის კაპიტალიზაცია 6,813 ათასი ლარის [illegible]ობით (2018 წელს: 5,521 ათასი ლარი). იხ. შენიშვნა 9(ბ).

## [illegible]ირითადი საშუალებები

| '000 ლარი | მიწა, შენობები და ნაგებობები | ელექტრო გადამცემი ხაზები | მოწყობილობ ტრანსპორტი და სხვ | მშენე ბარე | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| *ღირებულება და პირობითი ღირებულება* | | | | | |
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს | 128,684 | 455,727 | 821,212 | 194,763 | 1,600,386 |
| დამატებები | 1,430 | - | 2,323 | 75,489 | 79,242 |
| გასხვისება/ჩამოწერა | (28) | - | (6,527) | (7,281) | (13,836) |
| ტრანსფერები | 1,970 | 3,538 | 10,107 | (15,615) | - |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | **132,056** | **459,265** | **827,115** | **247,356** | **1,665,792** |
| **ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს** | 132,056 | 459,265 | 827,115 | 247,356 | 1,665,792 |
| დამატებები | 2,391 | - | 814 | 78,579 | 81,784 |
| გასხვისება/ჩამოწერა | (11) | - | (120) | (5,498) | (5,629) |
| ტრანსფერები | 2,859 | 3,142 | 51,952 | (57,953) | - |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **137,295** | **462,407** | **879,761** | **262,484** | **1,741,947** |
| *ცვეთის და ამორტიზაციის ზარალი* | | | | | |
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს | (38,723) | (205,390) | (339,543) | (14,552) | (598,208) |
| ცვეთა წლის განმავლობაში | (3,628) | (14,737) | (28,053) | - | (46,418) |
| გასხვისება | 10 | - | 5,344 | 57 | 5,411 |
| გაუფასურების ზარალი | (2,419) | (11,990) | (25,673) | (2,623) | (42,705) |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | **(44,760)** | **(232,117)** | **(387,925)** | **(17,118)** | **(681,920)** |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს | (44,760) | (232,117) | (387,925) | (17,118) | (681,920) |
| ცვეთა წლის განმავლობაში | (3,522) | (12,490) | (27,924) | - | (43,936) |
| გასხვისება | 3 | - | 17 | 59 | 79 |
| გაუფასურების ზარალი | (282) | (1,418) | (3,000) | (338) | (5,038) |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **(48,561)** | **(246,025)** | **(418,832)** | **(17,397)** | **(730,815)** |
| *საბალანსო ღირებულებები* | | | | | |
| **2018 წლის 1 იანვარს** | **89,961** | **250,337** | **481,669** | **180,211** | **1,002,178** |
| **2018 წლის 31 დეკემბერს** | **87,296** | **227,148** | **439,190** | **230,238** | **983,872** |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **88,734** | **216,382** | **460,929** | **245,087** | **1,011,132** |

2019 წლის განმავლობაში, მესაკუთრემ განახორციელა 2,388 ათასი ლარის ოდენობის შენატანი კომპანიის მიწებში, (2018 წელს: 1,725 ათასი ლარის მიწის ნაკვეთებში, გადამცემ ხაზებსა და დაკავშირებულ აღჭურვილობაში) საწესდებო კაპიტალის მატების სახით. ამ აქტივების ნომინალური თანხა შეადგენს მათ სამართლიან ღირებულებას.



ООО "ЛАЙН +" LINE + LTD TRANSLATION COMPANY 405120514

საქართველო. ნოტარიუსი * GEORGIA. NOTARY KEY

ის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემ ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად), რომელთა საბალანსო ღირებულებები ათას ლარს (2018 წელს: 55,980 ათასი ლარი), დაგირავებულია საქართველოს ფინანსთა მიმართ სესხების, კრედიტებისა და რესტრუქტურიზებული ვალდებულებების სახით (იხილეთ მე-14 და მე-15 შენიშვნები).

## მშენებლობა

31 დეკემბრის მდგომარეობით 245,087 ათასი ლარის ღირებულების (2018 წელს: 230,238 ათასი მშენებლობა მოიცავს 22,665 ათასი ლარის (2018 წ: 37,769 ათასი ლარი) სათადარიგო და სარეზერვო აპარატურას ძირითადი საშუალებების მხარდასაჭერად, 222,422 ათასი ლარის ათასი ლარი) მიმდინარე მშენებლობას. კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები ქმნის გადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობასთან, მოდერნიზაციასთან, გადამცემი ქსელის პროექტთან, ასევე სხვა გადამცემი ქსელების რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებით 6,813 ათას ლარს (2018 წ: 5,521 ათას ლარს), კაპიტალიზაციის განაკვეთით - 2.78% (2018 წ: 2.69%).

## ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემოწმება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ მოახდინა ჯგუფის შვილობილი კომპანიის შპს „ენერგოტრანსის“ (შემდგომში - „CGU“) ძირითადი საშუალებების მაჩვენებლის გაუფასურების შესაძლებლობის იდენტიფიცირება იმის გამო, რომ 2019 წელს შპს „ენერგოტრანსის“ წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები დაგეგმილზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ელექტროენერგიის ტრანზიტით გამოწვეული საბიუჯეტო ფულადი ნაკადების დეფიციტით. CGU-ს ანაზღაურებადი თანხა წარმოდგენილი იყო მისი გამოყენებული ღირებულების საფუძველზე, რაც განისაზღვრა CGU-ს უწყვეტი გამოყენებით გენერირებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

CGU-ს საბალანსო ღირებულება, რომელიც შეადგენს 223,695 ათას ლარს, განისაზღვრა უფრო მაღალი ოდენობით, ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა, რომელიც შეადგენს 218,658 ათას ლარს და შესაბამისად გაუფასურების ხარჯი, რომელიც შეადგენს 5,038 ათას ლარს, აღიარებულია გაუფასურების ზარალში 2019 წლის განმავლობაში, რომელიც გაუნაწილდა CGU-ს პროპორციულ საფუძველზე.

შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები იქნა გამოყენებული ანაზღაურებადი თანხის შეფასებაში:

ფულადი სახსრების მოძრაობა პროგნოზირებულია 26 წლის განმავლობაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ 26 წლის გამოყენება დასაბუთებულია როგორც პერიოდი, რომელიც წარმოადგენს CGU-ს საშუალო შეწონილ დანარჩენ სასარგებლო გამოყენების ვადას, CGU-ში ინვესტიციების ანაზღაურებისთვის და ინვესტორების შემოსავლიანობის ნორმისთვის, როგორც განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - „სემეკი“) მიერ დამტკიცებული ტარიფის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საფუძველზე;

- დატვირთვის კოეფიციენტი 400 კვ ენერგოგადამცემი ხაზისთვის, რომელიც დაპროექტებულია პროგნოზულ პერიოდში, შეადგენს 17.53%-ს. დატვირთვის კოეფიციენტი გამოითვალა, როგორც წმინდა პროგნოზული ექსპორტის / იმპორტის მაჩვენებელი, რომელიც დაყოფილია გადამცემი ხაზის პოტენციური სიმძლავრის საფუძველზე.
- ფულადი ნაკადების შემოდინება მოსალოდნელია შემოსავლის ორი ძირითადი წყაროდან: ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი;
- შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან და ექსპორტიდან პროგნოზირებულია ფაქტობრივ საოპერაციო შედეგებზე და კომპანიის ხუთწლიან ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის მიერ არის დამტკიცებული;
- მნიშვნელოვანი დეფიციტის გამო საბიუჯეტო თანხებიდან და გარეშე საბაზრო ინფორმაციიდან, შემოსავლები ელექტროენერგიის ტრანზიტიდან სავარაუდოდ შეადგენს ნულს..
- 14.04%%-იანი დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთი (2018 წ: 13.6.%) გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრაში. დისკონტირების განაკვეთი ასახავს შემოსავლის ნომინალურ მოთხოვნილ განაკვეთს ლარში დენომინირებული ფულადი ნაკადებისთვის კომპანიების მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე.

ზემოაღნიშნული შეფასებები მგრძნობიარეა ცვლილებების მიმართ დისკონტირების განაკვეთში. დისკონტირების განაკვეთში 1% პუნქტის ზრდა გამოიწვევს გაუფასურების ზარალის ზრდას, რომელიც დაახლოებით შეადგენს 9,072 ათას ლარს.

ООО "ЛАИН +" * "LINE +" LTD TRANSLATION COMPANY 405120514

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **მოთხოვნები** | | |
| ვალდებულება | 1,211 | 6,140 |
| **მოთხოვნები** | | |
| მოთხოვნები | 40,194 | 38,808 |
| რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე | (16,908) | (15,254) |
| **მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის ოდენობით** | **23,286** | **23,554** |
| ვალდებულება | 5,910 | 3,717 |
| დებიტორული დავალიანებები | 1,845 | 2,868 |
| მოსალისგან მისაღები თანხები | 846 | - |
| გაუფასურების რეზერვი სხვა მოთხოვნებზე | (2,138) | (2,178) |
| | **29,749** | **27,961** |

ჯგუფის მიდრეკილება საკრედიტო და სავალუტო რისკებისადმი, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია შენიშვნაში 18.

## 11. ფული და ფულის ექვივალენტები

| '000 ლარი | 2018 | 2018 |
|---|---|---|
| საბანკო ნაშთები | 101,430 | 71,016 |
| **ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში** | **101,430** | **71,016** |

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გაუფასურებას ან ვადაგადაცილებას არ ჰქონია ადგილი. ჯგუფის მიდრეკილება საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის წარმოდგენილია შენიშვნაში 18..

## 12. კაპიტალი

### (ა) სააქციო კაპიტალი

| *აქციების რაოდენობა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული* | ჩვეულებრივი აქციები | |
|---|---|---|
| | 2019 | 2018 |
| ნომინალური ღირებულება | GEL 1 | GEL 1 |
| 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული, სრულად განაღდებული | **645,065,000** | **642,677,000** |

### ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ ერთი ხმის უფლება ერთ აქციაზე კომპანიის კრებებზე.

2019 წელს კომპანიის აქციონერთა საერთო კრებამ დაამტკიცა 2, 388 ათასი აქციის გამოშვება, თითოეული აქცია 1 ლარის ღირებულებით. გამოშვებული აქციები გადახდილი იქნა არა-ფულადი შენატანით მიწის ნაკვეთების სახით, იხილეთ შენიშვნა 9.

2018 წლის განმავლობაში გამოშვებულია 3,625,121 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს, მათგან 1,900,000 ჩვეულებრივი აქცია გადახდილი იქნა ნაღდი ფულით და 1,725,000 ჩვეულებრივი აქცია: ქონებით და მოწყობილობით (შენიშვნა 9).

### [illegible] კაპიტალი

[illegible] კაპიტალი შედგება იმ აქციონერების მიერ გაკეთებული აქტივების შენატანებისგან, [illegible] კომპანიის მფლობელობაში, მაგრამ ჯერ არ არის რეგისტრირებული კომპანიის წესდებაში [illegible] ვალდებულებები სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და აქციონერების მიერ [illegible] საბრთლიან ღირებულებას შორის.

### [illegible]

[illegible] კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შემოიფარგლება [illegible] მოგების ნაშთით, რაც ასახულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების [illegible] კომპანიის მოქმედ ფინანსურ ანგარიშგებაში..

### [illegible] სხვაობის რეზერვი

[illegible] სხვაობის რეზერვი შედგება უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ყველა სხვაობისგან, [illegible] წარმოიშობა უცხოური ოპერაციების ფინანსური ანგარიშგებების გადაყვანის შედეგად.

### [illegible] დამატებით გადახდილი კაპიტალი

[illegible] დამატებით გადახდილი კაპიტალი დაკავშირებულია სესხის მოდიფიკაციასთან საქართველოს ფინანსთა [illegible] სამინისტროდან შპს ენერგოტრანსისთვის.

2019 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს ენერგოტრანსს შორის შეთანხმებული იქნა ახალი დაფარვის განრიგი, რომლის შესაბამისად სესხის დაფარვის ვადა გაგრძელდა 2029 წლამდე. თავდაპირველი დაფარვის ვადა იყო 2020 წლის 30 დეკემბერი. სხვაობა შესწორებული და თავდაპირველი ფულადი გადინებების წმინდა დაყვანილ ღირებულებას შორის აღიცხულია როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი (შენიშვნა 14).

## 13. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს მოიძიოს საკმარისი კაპიტალის საფუძველი ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების, ასევე რეაბილიტაციის გეგმის მიზნების დასაკმაყოფილებლად (იხ. შენიშვნა 15). აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულადი სახსრების მართვის, ჯგუფის შემოსავლებისა და გასავლების მუდმივი მონიტორინგის და ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების, ასევე სესხებისა და კრედიტების საშუალებით.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა..

არც კომპანია და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს..

## 14. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ მე-18 შენიშვნა.

| '000 ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| *გრძელვადიანი ვალდებულებები* | | |
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან | 944,164 | 460,278 |
| უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებიდან | 10,600 | - |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან | 13,028 | 21,132 |
| | **967,792** | **481,410** |
| *მოკლევადიანი ვალდებულებები* | | |
| არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან | 62,613 | 516,294 |
| უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი ფინანსური დაწესებულებებიდან | 9,856 | 9,524 |
| უზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე ნაწილი დაკავშირებული მხარისგან | 10,056 | 30,640 |
| | **82,525** | **556,458** |



"LINE +" LTD TRANSLATION COMPANY 405120514 ООО "ЛАЙН +"

## (ა) პირობები და სესხის დაფარვის განრიგი

გადასახდელი სესხების ვადები და პირობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

| '000 ლარი | ვალუტა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის წელი | 31 დეკემბერი 2019 ნომინალური ღირებულება | 31 დეკემბერი 2019 საბალანსო ღირებულება | 31 დეკემბერი 2018 ნომინალური ღირებულება | 31 დეკემბერი 2018 საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან:* | | | | | | | |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – KfW | EUR | KfW საორიენტაციო | 2027 | 253,047 | 253,047 | 247,322 | 247,322 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW | EUR | 2.20% | 2025 | 73,937 | 73,937 | 73,869 | 73,869 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EIB | EUR | Euribor+0.75% | 2033 | 203,514 | 203,514 | 198,907 | 198,907 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - EBRD | EUR | Euribor+1% | 2025-2028 | 162,850 | 162,850 | 164,494 | 164,494 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - KfW | EUR | 1%-1.5% | 2025-2037 | 43,974 | 43,974 | 45,879 | 45,879 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ADB | USD | 1%-1.5% | 2044 | 124,929 | 124,929 | 116,604 | 116,604 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – IBRD | USD | მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო | 2038 | 139,711 | 139,711 | 125,367 | 125,367 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - IBRD | EUR | ცვლადი საპროცენტო განაკვეთი | 2044 | 496 | 496 | - | - |
| სესხი MOF-დან (KfW ახალი) | EUR | 0.25%-0.05% | 2032 | 4,318 | 4,318 | 4,130 | 4,130 |
| *უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან:* | EUR | 4% | 2021 | 4,841 | 4,841 | 6,947 | 6,947 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - IDA | USD | მსოფლიო ბანკის სასესხო სახაზინო | 2022 | 18,044 | 18,044 | 23,709 | 23,709 |
| *უზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებიდან:* | EUR | 7.50% | 2029 | 32,336 | 20,656 | 30,640 | 30,640 |
| **სულ საპროცენტო ვალდებულებები** | | | | **1,061,997** | **1,050,317** | **1,037,868** | **1,037,868** |

2019 წლის 31 დეკემბერს, ძირითადი საშუალებების ერთეულები (მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემი ხაზებით და დაკავშირებული ტექნიკური მოწყობილობა), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 48,090 ათას ალრს (2018წ: 55,980 ათასი ლარი) დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სესხების და კრედიტებისთვის და რესტრუქტურირებული ვალდებულებებისთვის აღნიშნული სამინისტროს წინაშე (შენიშვნა 15).

***ფინანსური ვალდებულებების დარღვევა***

EIB, EBRD და KfW -და მიღებულ სესხებთან დაკავშირებით, შპს ენერგოტრანსის დონეზე, სესხის და დაკავშირებული პროექტის განხორციელების ხელშეკრულებების შესაბამისად, ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 1.1. სესხის მომსახურების კოეფიციენტი.

[illegible] მუდმივად უარყოფილია EIB-თან დაკავშირებით, რაც შეეხება EBRD და KfW, [illegible] წლის დეკემბერში.

[illegible] უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ფინანსური შეთანხმების კალკულაციას ყოველი წლის [illegible] კომპანიის განცალკევებული ფინანსური ინფორმაციის, აგრეთვე ფინანსური [illegible] საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული [illegible] ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

[illegible] 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული აქვთ ზემოაღნიშნული ფინანსური [illegible] გამო მიმდინარე აქტივების თანაფარდობა მიმდინარე პასივებთან, ფინანსური [illegible] საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად ჯგუფის მიერ მომზადებული [illegible] ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე ნაკლები იყო 1-ზე. 2018 წლის 31 დეკემბრის [illegible], სესხი 125,367 ათასი ლარის ოდენობით კლასიფიცირებულ იქნა მიმდინარედ ფინანსური [illegible] კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში..

## [illegible] სახელშეკრულებო პირობებში

[illegible] ფინანსთა სამინისტროს და შპს ენერგოტრანსს შორის 2019 წლის 13 სექტემბერს შექმნილი [illegible] შესაბამისად, 2020 წელს გადასახდელი ძირი თანხა გადაიდო 2027, 2028 და 2029 წლამდე EBRD, EIB და [illegible] ფინანსთა სამინისტროსთან დაკავშირებით. დამატების შედეგად დაფარვის თარიღები გაგრძელდა [illegible] და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სესხების შემთხვევაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებამ 2029 წლამდე გამოიწვია სახელშეკრულებო პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია, რის შედეგად მოგება, გამოთვლილი ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველ და ახალ ფულად ნაკადებს შორის აღიარებულია, როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი 11,475 ათასი ლარის ოდენობით. (შენიშვნა 12(e)).

შპს ენერგოტრანსი შეთანხმდა საქართველოს ფინანსთან სამინისტროსთან 2019 წელს გადასახდელი ძირი თანხის დაფარვაზე 2020 წლის ბოლომდე. საქართველოს მთავრობასთან სესხის პირობების რესტრუქტურიზაციის შედეგად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის სახელშეკრულებო პირობების დარღვევა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დაგვიანებული გადახდისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო, რომელიც შეადგენს 8,337 ათას ლარს (2018წ: 4,961 ათასი ლარი), შეტანილია სხვა ხარჯებში.

2018 წლის განმავლობაში, ნაღდი ფულის დეფიციტის გამო, საკონტრაქტო თანხები, რომელიც გადასახდელია შპს ენერგოტრანსსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული სესხის გადათმობის ხელშეკრულებების (KfW, EBRD) საფუძველზე, არ იყო გადახდილი დროულად. შპს ენერგოტრანსმა არ აწარმოა მოლაპარაკება სესხის პირობების რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს მთავრობასთან 2018 წელს, შესაბამისად საქართველოს მთავრობისგან არ იქნა მოპოვებული ოფიციალური თანხმობა 2018 წელს დასაფარი გადახდების გადავადების შესახებ. საკონტრაქტო პირობების დარღვევა წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას სესხის გადათმობის ხელშეკრულების შესაბამისად (KfW, EBRD) რაც საქართველოს მთავრობას ანიჭებს უპირობო უფლებას მოითხოვოს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვა, რომელიც შეადგენს 385,287 ათას ლარს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. (იხილეთ შენიშვნა 18 (b)(iii)). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოხდა სესხის რეკლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში..

## (გ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება ფულადი სახსრების მოძრაობასთან, რომელიც წარმოიქმნა ფინანსური საქმიანობებიდან

| '000 ლარი | ვალდებულებები<br>სესხები და კრედიტები | ვალდებულებები<br>რესტრუქტურიზებული ვალდებულებები | კაპიტალი<br>საკუთარი კაპიტალი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს** | **1,037,868** | **53,874** | **642,677** | **1,734,419** |
| შემოსავლები სესხებიდან | 15,815 | - | - | 15,815 |
| სესხების დაფარვა | (40,502)) | - | - | (40,502) |
| რესტრუქტურიზებული ვალდებულებების დაფარვა | - | (17,000) | - | (17,000) |
| **სულ ცვლილებები ფულადი ნაკადებიდან ფინანსური საქმიანობებიდან** | **(24,687)** | **(17,000)** | | **(41,687)** |
| **ცვლილების ეფექტი გაცვლით კურსში** | **53,439** | **681** | **-** | **54,120** |
| საპროცენტო ხარჯი | 20,804 | - | - | 20,804 |
| კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები | 6,813 | - | - | 6,813 |
| დისკონტის ამორტიზაცია | - | 4,825 | - | 4,825 |
| გადახდილი პროცენტი | (32,240) | - | - | (32,240) |
| მოგების მოდიფიკაცია სესხზე | (11,680) | | | (11,680) |
| მფლობელის არაფულადი შენატანები | - | - | 2,388 | 2,388 |
| **სულ სხვა ცვლილებები** | **(16,303)** | **4,825** | **2,388** | **(9,090)** |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **1,050,317** | **42,380** | **645,065** | **1,737,762** |

| | ვალდებულებები სესხები და კრედიტები | ვალდებულებები რესტრუქტურიზებული ვალდებულებები | კაპიტალი საკუთარი კაპიტალი | სულ |
|---|---|---|---|---|
| | **1,054,283** | **62,875** | **639,052** | **1,756,210** |
| | 32,381 | - | - | 32,381 |
| | (52,628) | - | - | (52,628) |
| ვალდებულებების დაფარვა | - | (15,000) | - | (15,000) |
| შენატანები | - | - | 1,900 | 1,900 |
| ნაკადებიდან ფინანსური საქმიანობებიდან | **(20,247)** | **(15,000)** | **1,900** | **(33,347)** |
| გავლით კურსში | **(1,383)** | **200** | - | **(1,183)** |
| | 20,940 | - | - | 20,940 |
| სასესხო ხარჯები | 5,521 | - | - | 5,521 |
| | - | 5,799 | - | 5,799 |
| | (21,246) | - | - | (21,246) |
| | - | - | 1,725 | 1,725 |
| | **5,215** | **5,799** | **1,725** | **12,739** |
| 2018 წლის 31 დეკემბერს | **1,037,868** | **53,874** | **642,677** | **1,734,419** |

## რესტრუქტურიზირებული ვალდებულებები

| '000 ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| გადახდები სახელმწიფო ბიუჯეტში | 19,207 | 35,029 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 29,538 | 28,936 |
| სესხები და დარიცხული პროცენტი | 1,473 | 2,572 |
| | **50,218** | **66,537** |
| ამორტიზებული ხარჯების შესწორება | (7,838) | (12,663) |
| **ნაშთი 31 დეკემბერს** | **42,380** | **53,874** |
| მიმდინარე ვალდებულებები | 19,267 | 17,000 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | 23,113 | 36,874 |
| **ნაშთი 31 დეკემბერს** | **42,380** | **53,874** |

რესტრუქტურიზებული ვალდებულებები წარმოადგენს 2006 წლამდე წარმოშობილ თანხებს, რომელთა ანგარიშსწორებაც იქნა გადავადებული ჯგუფის რთული ფინანსური მდგომარეობის გამო. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რომელიც შედგენილ იქნა თავდაპირველად 2006 წელს სამართალწარმოებიდან და შეთანხმდა კრედიტორთა უმრავლესობასთან, აღნიშნული სესხების ანგარიშსწორება გადავადებულ იქნა 2011 წლამდე, შესაბამისად თანხების ანგარიშსწორება მოხდება ნაწილ-ნაწილ 2023 წლამდე, სარეაბილიტაციო პერიოდის დასრულებამდე..

სარეაბილიტაციო გეგმაში მოყვანილია ჯგუფის სტრატეგიული მიზნები მომდევნო 15 წლის განმავლობაში, მასში ასევე განსაზღვრულია ჯგუფის ძირითადი საოპერაციო და ფინანსური მიზნები. სარეაბილიტაციო გეგმის თანახმად, რეაბილიტაციის მენეჯერი დანიშნულ იქნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიზნით მთლიანი სარეაბილიტაციო პერიოდის განმავლობაში. ჯგუფის მთავარ კრედიტორს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გადასახდელ თანხებს წარმოადგენს გადასახადები და ბაჟები, აგრეთვე სესხები და დარიცხული პროცენტი. რესტრუქტურიზირებული ვალდებულებები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. 2008 წელს ახალი სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ჯგუფმა შეაფასა გადავადებული ვალდებულებების რეალური ღირებულება, რათა განეხორციელებინა შესწორებები გადახდის პირობებში. სარეაბილიტაციო გეგმის დამტკიცების დღისთვის რეალურ ღირებულებად განსაზღვრულ იქნა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება 9.57%-იანი საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით..

## ...შირებული გრანტები

| | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| | 110,544 | 112,728 |
| ...შემოსავალში მოგება-ზარალში | (4,988) | (4,971) |
| ...ლის განმავლობაში | 15 | 2,788 |
| ...მბერს | **105,571** | **110,545** |
| | 102,736 | 105,579 |
| ...ციანი | 2,835 | 4,966 |
| ...ციანი | **105,571** | **110,545** |

...ლის გრანტის ახალი ტრანში მიღებული იქნა KfW-დან.

...წელს, KfW უზრუნველყო გრანტი 500/220 KW ჯგარის ქვესადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს 1,476 ათასი ლარს. გარდა ამისა, 1,312 ათასი ლარი მიღებულ იქნა 2018 წელს KfW-დან ...ემი ქსელის გაგრძელების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისთვის.

ფინანსური შენატანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას თუ ჯგუფი არაჯეროვნად გამოიყენებს მიღებულ ფულად სახსრებს ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის პროექტის განხორციელებას..

## 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| '000 ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ვალდებულები შესრულებულ სამშენებლო სამ. დაკავშირებით | 30,039 | 32,365 |
| სხვა ვალდებულებები | 12,811 | 12,337 |
| მიღებული ავანსები | 13,086 | 10,058 |
| | **55,936** | **54,760** |

ჯგუფის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

## 18. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

### (ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ანვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეფასებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით. შეფასების მეთოდოლოგიის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიცასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდადან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი მეთოდოლოგია არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების რეალური ღირებულება და ანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია..

## ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:
- საკრედიტო რისკი – შენიშვნა 18 (b)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი – შენიშვნა 18(b)(iii);
- საბაზრო რისკი – შენიშვნა 18(b)(iv).

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას ჯგუფზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის ზეგავლენის შესახებ, ჯგუფისმიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს მათი შეფასებისა და მართვისათვის, ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვას. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურანგარიშგებაში.

### *(i) რისკის მართვის სტრუქტურა*

მმართველთა საბჭოს აკისრია ჯგუფის რისკების მართვის საზღვრების განსაზღვრისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა.

ჯგუფის რისკების მართვის მეთოდები განისაზღვრება ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, შესაბამისი რისკებისსაზღვრებისა და კონტროლის დადგენისა და რისკების მონიტორინგისა და საზღვრების დაცვის მიზნით. რისკების მართვის პოლიტიკები დასისტემები განიხილებარეგულარულად საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებისა და ჯგუფის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ასახვის მიზნით. ჯგუფი, მისი სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებულიდა კონსტრუქციული მართვის გარემოს შემუშავებას, სადაც ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება მისი როლი და ვალდებულებები.

მმართველთა საბჭოს მის მიმოხილვის ვალდებულების განხორციელებაში ეხმარება შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი ახორციელებს რისკების მართვის კონტროლისა და პროცედურების როგორც რეგულარულ, ასევე საგანგებო მიმოხილვებს, რომლის შედეგებიც ეცნობება მმართველთა საბჭოს.

### *(ii) საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის მიმართ წარმოშობილი ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და წარმოიშობა ძირითადად ჯგუფის მიერ მომხმარებლებისგან მისაღები თანხებიდან და საბანკო ნაშთებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური საკრედიტო რისკის გამოვლენას.

### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის დაუცველობაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ხდება ყოველი ახალი მომხმარებლის ინდივიდუალური ანალიზი კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით ჯგუფის სტანდარტულ ანგარიშსწორებამდე და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. ჯგუფის მიმოხილვა ითვალისწინებს გარე შეფასებებს, შესაძლებლობის შემთხვევაში, და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო რეფერენციებს. კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 45% (2018:42%) უკავშირდება გაყიდვების ტრანზაქციებს ცალკეულ მომხმარებელთან.

ჯგუფის მომხმარებლების 70%-ზე მეტი აწარმოებს გარიგებებს ჯგუფთან ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

ჯგუფი განსაზღვრავს რეზერვს გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის მიერ მოსალოდნელი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით. მისი შეფასების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რაც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკებს. საკრდიტო ზარალის მთავარი ნაწილი 3 წელზე მეტი ვადისაა.

მაქსიმალური დაუცველობა საკრედიტო რისკების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით ანგარიშგების დღისთვის გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით შეადგენდა:

| '000 ლარი | საბალანსო ღირებულება | |
|---|---|---|
| | 2019 | 2018 |
| შიდა | 23,286 | 23,554 |

**გაუფასურების ზარალი**

ანგარიშგების დღისთვის სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა შეადგენდა:

| '000 ლარი | მთლიანი 2019 | გაუფასურება 2019 | მთლიანი 2018 | გაუფასურება 2018 |
|---|---|---|---|---|
| არავადაგადაცილებული | 23,286 | - | 23,554 | - |
| ვადაგადაცილებული ერთ წელზე მეტი პერიოდით | 16,908 | 16,908 | 15,254 | 15,254 |
| | **40,194** | **16,908** | **38,808** | **15,254** |

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| '000 ლარი | ინდივიდუალური გაუფასურება | |
|---|---|---|
| | 2019 | 2018 |
| ნაშთი წლის დასაწყისში | 15,254 | 15,157 |
| უიმედო ვალის ამოღება | 1,654 | 97 |
| ნაშთი წლის ბოლოს | **16,908** | **15,254** |

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოიყენება გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ არ ამოიწურება ყოველგვარი შესაძლებლობა ანაზღაურებისთვის; აღნიშნული თვალსაზრისით თანხები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივებიდან.

გასული წლების გადაუხდელობის სტატისტიკის მიხედვით, ჯგუფს მიაჩნია რომ ზემოაღნიშნულის გარდა სხვა დამატებითი რეზერვი არ არის საჭირო სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

## ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკში, რომლის რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის B..

### *(iii) ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გამოიხატება იმ ფაქტის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაში, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად მათი დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალისა თუ ჯგუფის რეპუტაციის შებღალვის გარეშე.

ჯგუფი მართავს ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს. კომპანიამ განსაზღვრა ყოველწლიური ბიუჯეტირების პროცესი მფლობელთან ერთად. ბიუჯეტს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო და ამოწმებს მფლობელი. ბიუჯეტის განახლება ხდება ყოველთვიურად ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს ფულისა და ფულადი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება მომავალი 60 დღის განმავლობაში ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებაზე გადაჭარბებული ოდენობით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, ვინაიდან აღინიშნება 2019 წლის საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების არსებითი ზრდა. ტარიფის ცვლილება არ გამოიყენება 2019 წლის განმავლობაში, სემეკ-სა და შპს ენერგოტრანსს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტარიფის შესაძლოა ზდის შესახებ. ხელმძღვანელობა ელოდება, რომ ელექტროენერგიის გადაცემის საქმიანობები გაიზრდება მოხმარების საერთო ზრდის შედეგად, რაც შესაბამისად განაპირობებს ტარიფების და ჯგუფის შემოსავლების ზრდას. მოხმარების ზრდა მატულობს მიმდინარე პერიოდებში და ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც.

ჯგუფს ეკისრება ძირითადი საშუალებების შესყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულება 138,656 ათასი ლარის ოდენობით (იხილეთ მე-18 შენიშვნა). კაპიტალის ვალდებულებები უკავშირდება სხვადასხვა პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება გამოუყენებელი სესხებიდან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. გამოუყენებელი სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 465,387 ათას ლარს.

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის სახელშეკრულებო დანარჩენი ვადები. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული შეფასებული საპროცენტო გადახდების ჩათვლით და მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის შესახებ შეთანხმებების გავლენის გარეშე..

**31 დეკემბერი 2019**

| '000 ლარი | საბალანსო ღირებ. | საკონტრაქტო ფულადი ნაკ | 1 წლამდე | 1-5 წლამდე | 5 წელს ზემოთ |
|---|---|---|---|---|---|
| **არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | 1,006,777 | 1,163,646 | 67,868 | 432,178 | 663,600 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან | 22,884 | 24,190 | 10,380 | 13,810 | - |
| უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარეებიდან | 20,656 | 32,945 | 10,056 | - | 22,889 |
| რესტრუქტურიზებული ვალდებულებები | 42,380 | 50,218 | 19,000 | 31,218 | - |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 42,850 | 42,850 | 42,850 | - | - |
| | **1,135,547** | **1,313,849** | **150,154** | **477,206** | **686,489** |

**31 დეკემბერი 2018**

| '000 ლარი | საბალანსო ღირებ | საკონტრაქტო ფულადი ნაკ | 1 წლამდე | 1-5 წლამდე | 5 წელს ზემოთ |
|---|---|---|---|---|---|
| **არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | 976,572 | 1,065,652 | 557,263 | 165,457 | 342,932 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური დაწესებულებებიდან | 30,656 | 33,932 | 10,433 | 23,499 | - |
| უზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარეებიდან | 30,640 | 32,586 | 32,586 | - | - |
| რესტრუქტურიზებული ვალდებულებები | 53,874 | 66,537 | 17,000 | 49,537 | - |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 44,702 | 44,702 | 44,702 | - | - |
| | **1,136,444** | **1,243,409** | **661,984** | **238,493** | **342,932** |

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადის ანალიზში გათვალისწინებული ფულადი ნაკადები წარმოდგენილი იქნას მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით.

### *(iv) საბაზრო რისკი*

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის შემთხვევაშიც საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ღირებულებები, მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკების მიმართ დაუცველობის მართვა და კონტროლი დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების გზით..

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

..

## ვალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის მერყეობის მიზეზით. ჯგუფის დაუცველობა უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთში მომხდარი ცვლილებების მიმართ ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში ნომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი არ ახდენს ჰეჯირებას სავალუტო რისკის მიმართ მის მგრძნობელობაზე

## დაუცველობა სავალუტო რისკის მიმართ

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე წარმოდგენილია შემდეგი სახით პირობით თანხებზე დაყრდნობით:

| '000 ლარი | აშშ დ დენომინირებული 2019 | ევროში დენომინირებულ 2019 | აშშ დ დენომინირებული 2018 | ევროში დენომინირებულ 2018 |
|---|---|---|---|---|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1,313 | 59 | 433 | 19 |
| ფული და ფულის | 12,264 | 3 | 8,045 | 11 |
| სესხები და კრედიტები | (282,684) | (767,633) | (265,680) | (772,188) |
| სავაჭრო და სხვა | (12,043) | (17,378) | (7,213) | (21,313) |
| რესტრუქტურიზებული | (2,242) | (1,009) | (2,340) | (1,302) |
| **წმინდა რისკის მოცულობა** | **(283,392)** | **(785,958)** | **(266,755)** | **(794,773)** |

წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი ვალუტების გაცვლითი კურსები:

| ლარში | საშუალო კურსი | | ანგარიშგების დღის სპოტ კურსი | |
|---|---|---|---|---|
| | 2019 | 2018 | 2019 | 2018 |
| 1 აშშ დ | 2.8192 | 2.5345 | 2.8677 | 2.6766 |
| 1 ევრო | 3.1553 | 2.9913 | 3.2095 | 3.0701 |

## მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდის (შეამცირებს) მოგებას ან ზარალს საშემოსავლო გადასახადამდე ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. გავლენა არ აღინიშნა სხვა საერთო შემოსავალსა თუ უშუალოდ კაპიტალზე. მოცემული ანალიზი დაფუძნებულია უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებებზე, რაც კომპანიამ მიიჩნია საკმაოდ შესაძლებლად ანგარიშგების პერიოდის დასასრულს. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი სახით.

2018 წლისათვის ანალიზი განხორციელდა იგივე საფუძველზე.

| '000 ლარი | გამყარება მოგება | შესუსტება (ზარალი) |
|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2019** | | |
| აშშ დოლარი (10% დინამიკა) | 28,339 | (28,339) |
| ევრო (10% დინამიკა) | 78,596 | (78,596) |
| **31 დეკემბერი 2018** | | |
| აშშ დოლარი (10% დინამიკა) | 26,676 | (26,676) |
| ევრო (10% დინამიკა) | 79,477 | (79,477) |

## საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი რეალური ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს ჯგუფის მგრძნობელობა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთი უფრო ხელსაყრელი ჯგუფისთვის მოსალოდნელი დროის განმავლობაში, ვადის ამოწურვამდე..

ანგარიშგების დღისთვის ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად

| '000 ლარი | საბალანსო ღირებულება | |
|---|---|---|
| | 2019 | 2018 |
| **ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტები** | | |
| ფინანსური აქტივები | 101,430 | 71,016 |
| ფინანსური ვალდებულებები | (272,655) | (278,069) |
| | **(171,225)** | **(207,053)** |
| **ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტები** | | |
| ფინანსური ვალდებულებები | (777,662) | (759,799) |
| | **(777,662)** | **(759,799)** |

**სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით**

ჯგუფი არ აგებს პასუხს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სამართლიანი ღირებულების სახით მოგების ან ზარალის მეშვეობით ან გასაყიდად ხელმისაწვდომობის სახით. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას ანგარიშგების დღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე კაპიტალში..

**ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვალებადი განაკვეთის ინსტრუმენტებზე**

ანგარიშგების დღისთვის საპროცენტო განაკვეთებში 100 საბაზო პუნქტის ცვლილებამ გაზარდა (შეამცირა) კაპიტალი და გადასახადების შემოსავლის ან გასავლის წმინდა ღირებულება ქვემოთ ნაჩვენები თანხის ოდენობით. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე მტკიცდება, რომ ყველა სხვა ცვლილებები, კერძოდ, უცხოური ვალუტის გაცვლის განაკვეთები, რჩება უცვლელად. 2018 წლის ანალიზი ტარდება იგივე საფუძვლებზე.

| | მოგება ან (ზარალი) | |
|---|---|---|
| '000 ლარი | 100 სბ ზრდა | 100 სბ შემცირება |
| **2019** | | |
| ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები | 7,776 | (7,776) |
| **ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა (წმინდა)** | **7,776** | **(7,776)** |
| **2018** | | |
| ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები | 7,598 | (7,598) |
| **ფულადი სახსრების ნაკადების მგრძნობელობა** | **7,598** | **(7,598)** |

## 19. კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ნაკისრი აქვს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულება 138,656 ათასი ლარის ოდენობით (2018 წელს: 154,353 ათასი ლარი) ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის აღჭურვილობის შესყიდვასთან დაკავშირებით.

კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები ეხება პროექტთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს და დაფინანსდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან გაუცემელი სესხებით..

## 20. გაუთვალისწინებელი გარემოებები

### (ა) დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზე იმყოფება და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომლებიც მიღებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფი სრულად ვერ აზღვევს დანადგარებს, ბიზნესის გამართულ მუშაობას, მესამე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს ჯგუფის ქონებაზე უბედური შემთხვევებისა თუ ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციების შედეგად წარმოშობილი, ასევე ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში. სანამ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, არსებობს რისკი იმისა, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობას.

### (ბ) სასამართლო პროცესი

საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი წარმოადგენს სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და დავების მხარეს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან სარჩელებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მატერიალურად არახელსაყრელ ეფექტს ფინანსურ მდგომარეობასა თუ სამომავლო ოპერაციების შედეგებზე.

### (გ) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი წარმოადგენს სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და დავების მხარეს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან სარჩელებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მატერიალურად არახელსაყრელ ეფექტს ფინანსურ მდგომარეობასა თუ სამომავლო ოპერაციების შედეგებზე.

ზემოხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ აღნიშნული ორგანოები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს.

## 21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

### (ა) მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობა

კომპანიის უშუალო და ძირითად მშობელ კომპანიას წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდი“, ხოლო ძირითად მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. სს „საპარტნიორო ფონდი“ წარადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის ვებ-გვერდზე.

### (ბ) ტრანზაქციები ხელმძღვანელ პერსონალთან

#### *(i) ხელმძღვანელობის ანაზღაურება*

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შეტანილია ხელფასებში:

| '000 ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| ხელფასები და ბონუსები | 2,248 | 2,120 |

### (გ) ტრანზაქციები მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან

ჯგუფი ყოველდღიურ საქმიანობებში აწარმოებს საქმეებს მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს ხელისუფლების კონტროლის, ერთობლივი კონტროლის ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. ჯგუფმა აირჩია ბასს (IAS) 24-ის - ინფორმაციები დაკავშირებული მხარების შესახებ - გამონაკლისი, რაც იძლევა შესაბამისი მხარის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შემცირებულ შესაძლებლობას სამთავრობო ორგანოებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.

ყველა სესხი და კრედიტი, ასევე აღნიშნულ სესხებსა და კრედიტებზე განსაზღვრული პროცენტო ხარჯი ექვემდებარება გადახდას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. აქტივებთან დაკავშირებით კომპანიის გრანტები ძირითადად მიიღება იმ ტრანზაქციებიდან, სადაც საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს შუამავლის სახით. კომპანიის რესტრუქტურიზებული ვალდებულებები ძირითადად შედგება საქართველოს ხელისუფლების ან ხელისუფლების ორგანოების მიმართ განსაზღვრული გადასახდელებისგან.

ჯგუფის შემოსავლის დაახლოებით 24% (2018 წელს: 23%) მიიღება სამი საწარმოდან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც წარმოდგენილია ან კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ..

## 22. შვილობილი კომპანიები

| შვილობილი კომპანია | რეგისტრაციის ქვეყანა | 2019 საკუთრება/ხმის მიცემა | 2018 საკუთრება/ხმის მიცემა |
|---|---|---|---|
| შპს ენერგოტრანსი | საქართველო | 100% | 100% |
| Karcal Energy JSC | თურქეთი | 100% | 100% |
| Georgian Energy Exchange JSC | საქართველო | 50% | 50% |

სს Georgian Energy Exchange დაფუძნდა 2019 წლის დეკემბერში, კომპანიის 50% მონაწილეობით. სს Georgian Energy Exchange არის ორგანიზებული ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზატორი და უზრუნველყოფს ყოველდღიური ბაზრების დაფუძნებას და საქმიანობას Nord Pool Consulting კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებების მეშვეობით. 2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ განახორციელა 1,541 ათასი ლარის ოდენობით შვილობილი კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა/ინსტალაციისთვის.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მოახდინა სს Georgian Energy Exchange ბალანსების კონსოლიდაცია, როგორც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, ხელშეკრულებების პირობების საფუძველზე, რომლის თანახმად დაფუძნდა კომპანია, რომ ჯგუფი აკონტროლებს სს Georgian Energy Exchange.

## 23. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

## 24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში და უწყვეტად ხორციელდება ჯგუფში შემავალი საწარმოების მიერ.

### (ა) კონსოლიდაციის საფუძველი

#### *(i) არასაკონტროლო წილი*

არასაკონტროლო წილი ფასდება კომპანია-ობიექტის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით შეძენის დღეს.

ცვლილებები ჯგუფის წილში შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც კაპიტალით გარიგებები.

#### *(ii) შვილობილი კომპანიები*

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფის მიერ კონტროლირებად საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის დაკავშირებულია, უფლებამოსილია ცვალებად ამონაგებზე საწარმოსთან ჩართულობით და შესწევთ უნარი იმოქმედონ ხსენებულ შემოსავლებზე, საწარმოზე მათი უფლებების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში კონტროლის დაწყების თარიღიდან მისი შეწყვეტის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა საჭიროების შესაბამისად, ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის გათვალისწინებით. ზარალი, რომელიც უკავშირდება არასაკონტროლო წილს შვილობილ კომპანიაში, განაწილებულია არასაკონტროლო წილზე იმ შემთხვევაშიც, კი თუ ასეთი ქმედება იწვევს არასაკონტროლო წილის უარყოფით ნაშთს.

*კონტროლის დაკარგვა*

კონტროლის დაკარგვისას, ჯგუფი აღარ აღიარებს შვილობილი კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს, არაკონტროლირებად წილებსა და შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული კაპიტალის სხვა კომპონენტებს. კონტროლის დაკარგვისას წარმოშობილი ნებისმიერი ნამატი ან დეფიციტი ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი შეინარჩუნებს რაიმე წილს წინა შვილობილ კომპანიაში, მაშინ აღნიშნული წილი გამოითვლება იმ დღისთვის არსებული რეალური ღირებულების მიხედვით, როდესაც ადგილი ჰქონდა კონტროლის დაკარგვას. შედეგად ის აღირიცხება, როგორც კაპიტალში ჩათვლილი ინვესტიციების მიმღებად, ან გასაყიდად წარმოდგენილ ფინანსურ აქტივად, რომელიც დამოკიდებულია მიღებული გავლენის დონეზე..

### *(iv) კონსოლიდაციისას გაუქმებული ტრანზაქციები*

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ასევე ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციებიდან, გაუქმდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

## (b) შემოსავალი

### *(i) მომსახურებები*

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც გადასცემს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე კლიენტს. ჯგუფი შემოსავლებს ღებულობს ძირითადად ელექტროენერგიის გადაცემისა საფუძველზე. შემოსავალი აღიარებულია დროთა განმავლობაში მომსახურებების გაწევის შესაბამისად, გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერგიის ყოველთვიური მოცულობის და მარეგულირებლის მიერ დადგენილი ტარიფის საფუძველზე. ხელშეკრულებები კონტრაგენტებთან არ ითვალისწინებს ფასდაკლებებს და ანგარიშ-ფაქტურები გადასახდელია ყოველთვიურად.

პროგრესის შეფასება ეფუძნება გადაცემული და დისპეჩერიზებული ელექტროენერგიის ფაქტობრივ მოცულობას. ელექტროენერგიის ტრანზიტის შემთხვევაში, მომსახურებების ტარიფები მითითებულია კონტრაგენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

### *(ii) სახელმწიფო გრანტები*

სახელმწიფო გრანტების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულების მქონე გადავადებული შემოსავლის სახით, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი იქნება მიღებული და ჯგუფი დააკმაყოფილებს გრანტთან დაკავშირებით არსებულ პირობებს და შემდგომ აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად, აქტივის სრული საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში. გრანტები, რომლებიც ახდენენ ჯგუფის მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, აღიარებული იქნება შემოსავალში ან ზარალში სხვა შემოსავლის სახით სისტემატიურად იმავე პერიოდით, რომელშიც ადგილი ჰქონდა ხარჯების აღიარებას..

## (გ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- ინვესტირებული ფულადი სახსრების საპროცენტო შემოსავალს;
- ამორტიზირებული ღირებულებით გამოთვლილ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ სარგებელს ან ზარალს ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდთან გამოყენებულ მოგებასა თუ ზარალში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის მდგომარეობაში..

## (ე) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

### *(i) გარიგებები უცხოურ ვალუტაში*

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ტრანზაქციები კონვერტირდება ჯგუფის საწარმოების შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს დადგენილი ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში მოცემულ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს, რომელიც მორგებულია არსებულ პროცენტზე და პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ანგარიშსწორებებზე, და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს შორის, რომელიც კონვერტირდება ანგარიშგების პერიოდის დასასრულს არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით..

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც დაანგარიშდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

### *(ii) უცხოური ოპერაციები*

უცხოური ოპერაციებით გათვალისწინებული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ქართულ ლარში ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. უცხოური ოპერაციების შემოსავალი და ხარჯები კონვერტირდება ქართულ ლარში ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სხვაობები აღიარებულია სხვა საერთო შემოსავალში და წარმოდგენილია კაპიტალში უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში. იმ შემთხვევაში, თუ უცხოურ ოპერაციაზე შეწყდება ამგვარი კონტროლი, აღარ იქნება წარმოდგენილი მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი, აღნიშნულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებულ გადაფასების რეზერვში წარმოდგენილი საერთო თანხა ხელახლა კლასიფიცირდება მოგებად ან ზარალად, გასხვისებაზე დარიცხული მოგების ან ზარალის ნაწილის სახით.

## (ე) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები აღირიცხება დისკონტირებულ საფუძველზე და გაიწერება ხარჯებში შესაბამისი მომსახურებების გაწევისთანავე. ვალდებულების აღიარება ხდება იმ თანხასთან დაკავშირებით, რომლის ანგარიშსწორებაც უნდა მოხდეს მოკლევადიანი ფულადი ბონუსით ან სარგებლის გაზიარების გეგმებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს გააჩნია აღნიშნული თანხის ანგარიშსწორების მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება თანამშრომლის მიერ წარსულში განხორციელებული მომსახურების შედეგად და ვალდებულება შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ..

## (ვ) რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, ჯგუფს გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რაც შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოდ საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულებების ანგარიშსწორების მიზნით. რეზერვი განისაზღვრება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირებით, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებების დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს. დისკონტის ამორტიზაცია აღიარებულია ფინანსურ ხარჯში.

## (ზ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია ბიზნესის გაერთიანებასთან, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღირებულ ობიექტებთან.

### *(i) მიმდინარე გადასახადი*

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა შესაბამისი წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, დადგენილ ან არსებითად დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის, ასევე საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას, რომლებიც წარმოიშვება დივიდენდებიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდისთვის ყველა საწარმოს მიმართ, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთა მიმართაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

კორპორატიული მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა ითვალისწინებს არა კორპორატიული მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, არამედ კორპორატიული მოგების გადასახადის დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე, ანუ ძირითად საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერების / პარტნიორების მიმართ დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა ზოგიერთი სხვა ოპერაცია აგრეთვე ჩაითვლება განაწილებულ მოგებად, მაგალითად, კონკურენტული ტრანსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადებისგან გათავისუფლებულ პირთან აგრეთვე განიხილება განაწილებული მოგებად კორპორატიული მოგების გადასახადის მიზნებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო ობიექტი ითვალისწინებს ხარჯსა და სხვა გადასახდელს, რაც არ იქნება დაკავშირებული საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდებასთან და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯთან.

გადასახადის ანაზღაურება ხელმისაწვდომია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებასთან დაკავშირებით გადახდილ მიმდინარე გადასახადთან მიმართებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოგება განაწილდება 2017 ან მომდევნო წლებში.

დივიდენდების ანგარიშსწორებიდან კორპორატიული მოგების გადასახადი დაანგარიშდება იმ პერიოდის ხარჯთან დაკავშირებით, როდესაც მოხდა დივიდენდების განცხადება, მიუხედავად ანგარიშსწორების ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისა, რომელთან დაკავშირებითაც ადგილი ჰქონდა დივიდენდების გადახდას. დივიდენდის განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის თანხა გაანგარიშებულია, როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს კორპორატიული მოგების გადასახადის დარიცხვას კონკრეტულ ტრანზაქციებზე, რომელიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ლიმიტზე გადაჭარბებულ წარმომადგენლობით ხარჯს. ჯგუფი ასეთი ტრანზაქციის დაბეგვრას თვლის ბასს 12 - მოგების გადასახადები - ფარგლების გაცდენად და აღრიცხავს აღნიშნულ გადასახადს ასეთ პუნქტებზე, არა-მოგების გადასახადად.

### *(ii) გადავადებული გადასახადი*

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის არსიდან გამომდინარე, საქართველში რეგისტრირებულ საწარმოებს არ გააჩნიათ სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ წამოიშობა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

წინა პერიოდში დარიცხული საგადასახადო ზარალის გამოყენება შეუძლებელია სამომავლო დაბეგვრად მოგებაში..

## (თ) მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მის ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და გასაყიდი დანახარჯები.

## (ი) ძირითადი საშუალებები

### *(i) აღიარება და შეფასება*

ძირითადი საშუალებები, მიწის გარდა, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი..

ღირებულება მოიცავს აქ ტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზაცია ხორციელდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით.როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტის შემადგენელი ნაწილები შეიცავს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადის მქონე კომპონენტებს, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებად სხვა შემოსავლის/სხვა გასავლის ფარგლებში მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასებული აქტივის გაყიდვისას, ნებისმიერი დაკავშირებული თანხა, რომელიც შეტანილია გადაფასების რეზერვში გადაფასებიდან ზრდის სახით, გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებებში.

### *(ii) შემდგომი ხარჯები*

ძირითადი საშუალების ობიექტის კომპონენტების შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ჯგუფის მიმართ და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება იქნება უარყოფილი. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ღირებულება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გაღებული ხარჯების სახით.

### *(iii) გაუფასურება*

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი დამონტაჟებისა და საექსპლუატაციო მზადყოფნის დღიდან, ხოლო შიდა კონსტრუირებული აქტივების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივების დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება..

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების კომპონენტების ყოველი ნაწილის საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას..

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასება მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

| | |
|---|---|
| — შენობა-ნაგებობები | 15-25 წელი; |
| — ელექტროგადამცემი ხაზები | 20-35 წელი; |
| — მოწყობილობა | 10-25 წელი; |
| — სატრანსპორტო საშუალებები და სხვა | 5-7 წელი;. |

ცვეთის მეთოდები, საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური წელიწადის ბოლოს და შესწორდება შესაბამისად.

## (3) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი იყენებს ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და არაფინანსური ინსტრუმენტების ყიდვის ან გაყიდვის კონტრაქტების აღიარებისა და შეფასებისთვის.

### *i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება*

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია მათი წარმოშობისას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით პლუს, ინსტრუმენტისთვის, რომელიც არ ფასდება FVTPL-ით, გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია მის შეძენასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

### ii) *ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც შეფასებული: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა შემოსავალში (FVOCI) – სავალო ინვესტიცია; FVOCI – ინვესტიცია კაპიტალში; ან FVTPL-ით.

ფინანსური აქტივები არ კლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგომ თუ ჯგუფი არ შეცვლის თავის ბიზნეს მოდელს ფინანსური აქტივების მართვისთვის, რომელ შემთხვევაშიც ყველა ხსენებული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება პირველი ანგარიშგების პერიოდის პირველ დღეს ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდეგ

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მითითებულ პირობებს და არ განისაზღვრება FVTPL-ით:

- აქტივი ფლობილია ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ფულად ნაკადებს, რომლებიც არის მხოლოდ ძირი თანხის და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდები.

სავალო ინვესტიცია შეფასებულია FVOCI-ით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მითითებულ პირობებს და არ განისაზღვრება FVTPL-ით.

- ფლობილია ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ფულად ნაკადებს, რომლებიც არის მხოლოდ ძირი თანხის და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდები.

კაპიტალში ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის ფლობილი სავაჭროდ, ჯგუფს შეუძლია შეიტანოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში (OCI). ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ან FVOCI-ით, როგორც აღწერილია ზემოთ, ფასდება FVTPL-ით. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნას შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან FVOCI-ით, როგორც FVTPL-ით შეფასებული, ასეთ შემთხვევაში გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად შემაცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, რომელიც წარმოდგენილია შენიშვნაში 10 და ფულს და ფულის ექვივალენტებს, რომლებიც წარმოდგენილია შენიშნაში 11 და კლასიფიცირებულია ფინანსური აქტივებში ამორტიზირებული ღირებულებით კატეგორიაში. აღნიშნული აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობის მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას, აღიარებულია მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ბანკის ნაშთებს სამთვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით შეძენის თარიღიდან, რომელიც ექვემდებარება ცვლილების უმნიშვნელო რისკს მათ სამართლიან ღირებულებაში.

### iii) *ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც შეფასებული: ამორტიზირებული ღირებულებით ან FVTPL-ით. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც FVTPL-ით იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს სავაჭროდ ფლობილის განსაზღვრებას ან განსაზღვრულია ამგვარად თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური ვალდებულებები FVTPL-ით ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა მოგება და ზარალი, მათ შორის ნებისმიერი საპროცენტო ხარჯი, აღიარებულია მოგება-ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების ნაწილისა, რომელიც გამოწვეულია ცვლილებებით ჯგუფის საკუთარ საკრედიტო რისკში, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს სესხებს დაკავშირებული მხარეებიდან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც წარმოდგენილია მე-14 და მე-17 შენიშვნებში, შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას, აღიარებულია მოგება-ზარალში.

ჯგუფი აფასებს ყველა თავის ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით.

## iv) *ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიკაცია*

### ფინანსური აქტივები

იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება ფინანსური აქტივების პირობები, ჯგუფი აფასებს არსებითად განსხვავდება თუ არა მოდიფიცირებული აქტივის ფულადი ნაკადები. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია (მითითებულია, როგორც „არსებითი მოდიფიკაცია“), მაშინ სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან ამოწურულად ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას იმის დასადგენად არის თუ არა მოდიფიკაცია არსებითი, ე.ი. არის თუ არა თავდაპირველი ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები და მოდიფიცირებული ან შეცვლილი ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული. ჯგუფი აფასებს მოდიფიკაციის არსებითობას რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების საფუძველზე შემდეგი რიგით: თვისობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების კომბინირებული ეფექტი. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია, მაშინ სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან ამოწურულად ჩაითვლება. შეფასებისას ჯგუფი იყენებს ანალოგიებს ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელოდ.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიკაცია არსებითია შემდეგი თვისობრივი ფაქტორების შედეგად:

- ფინანსური აქტივის ვალუტის ცვლილება;
- უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფის ცვლილება;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რაც იწვევს შეუსაბამობას SPPI კრიტერიუმთან; (მაგ. კონვერსიის თვისება).

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული მოდიფიცირებული აქტივის ფულადი ნაკადები არ არის არსებითად განსხვავებული, მაშინ მოდიფიკაცია არ გამოიწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი გადათვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და აღიარებს თანხებს, რომელიც წარმოიშობა მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებიდან, როგორც მოდიფიკაციის მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება გადაანგარიშდება გადასინჯული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დანარჩენ ვადაში..

### ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას როდესაც მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებულია. ასეთ შემთხვევაში ახალი ფინანსური ვალდებულება, მოდიფიცირებული პირობების საფუძველზე, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას შორის დაფარულია და ახალი ფინანსური ვალდებულება მოდიფიცირებული პირობების აღიარებულია მოგება-ზარალში..

იმ შემთხვევაში, თუ მოდიფიკაცია (ან გაცვლა) არ გამოიწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი იყენებს საღრიცხვო პოლიტიკას ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირების მოთხოვნების შესაბამისად, როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ე.ი. ჯგუფი აღიარებს ნებისმიერ კორექტირებას ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაში, რომელიც წარმოიშობა მოდიფიკაციით (ან გაცვლით) მოგებაში ან ზარალში მოდიფიკაციის დღეს (ან გაცვლის დღეს).

ვალდებულებები ფულად ნაკადებში არსებულ ფინანსურ ვალდებულებებზე არ ითვლება მოდიფიკაციად, თუ ცვლილებები გამომდინარეობს არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, ე.ი. ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულია ბანკების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი განაკვეთის ცვლილების შედეგად, თუ სესხის ხელშეკრულება ასეთი ქმედების უფლებას ანიჭებს ბანკებს და ჯგუფს აქვს უფლება მიიღოს გადახედული განაკვეთი ან გამოისყიდოს სესხი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გარეშე. ჯგუფი განიხილავს საპროცენტო განაკვეთის მოდიფიკაციას მიმდინარე საბაზრო განაკვეთით, მცურავი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად კორექტირდება.

ჯგუფი ახორციელებს რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას იმის დასადგენად არის თუ არა მოდიფიკაცია არსებითი, თვისობრივი ფაქტორების, რაოდენობრივი ფაქტორების, რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების კომბინირებული ეფექტის გამოყენებით. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიკაცია არსებითია შემდეგი თვისობრივი ფაქტორების შედეგად:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფის ცვლილება;
- კონვერსიის ოფციონის ჩართვა;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისთვის პირობები არსებითად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი საფასური მიღებული და დისკონტირებული საფასურის გამოკლებით, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინიმუმ 10პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დანარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. იმ შემთხვევაში, თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აღიარებულია მოგების ან ზარალის ნაწილად დაფარვისას. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა ან მოდიფიკაცია არ აღირიცხება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების დანარჩენ ვადაში.

## *ი) აღიარების შეწყვეტა*

### ფინანსური აქტივები

ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ აქტივს მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე ფინანსური აქტივებიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს იმ გარიგებაში, რომელშიც ადგილი აქვს ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემას ან რომელშიც ჯგუფი არ გადასცემს და არ იტოვებს საკუთრების არსებითად ყველა რისკს და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ჯგუფი აფორმებს გარიგებებს, რომლის საფუძელზე ის გადასცემს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემული აქტივების ყველა ან არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ასეთ შემთხვევაში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება..

### ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები გაუქმდება, დაკარგავს ძალას ან ამოიწურება. ჯგუფი ასევე არ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას, როდესაც მისი პირობები მოდიფიცირდება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, ასეთ შემთხვევაში ახალი ფინანსური ვალდებეულება, მოდიფიცირებული პირობების საფუძველზე, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, დაფარული სხვაობა საბალანსო ღირებულებას შორის დაგადახდილი ანაზღაურება (მათ შორის ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივები ან აღებული ვალდებულებები) აღიარებულია მოგება-ზარალში.



შპს "ლაინ +" "LINE +" LTD
თარგმანების სპეციალური კომპანია
405120514
TRANSLATION COMPANY
ООО "ЛАИН +"

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ურთიერთჩათვლის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ჯგუფს აქვს ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არ არის დამოკიდებული რაიმე მომავალ მოვლენაზე და იურიდიულად აღსრულებადია საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში და ჯგუფის და ყველა კონტრაგენტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

### *სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. შემდგომში პირველადად აღიარებული სესხები და მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში, ხოლო ფული და ფულის ექვივალენტები მე-11 შენიშვნაში..

### *ფული და ფულის ექვივალენტები*

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს და საბანკო ნაშთებს, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს.

### *არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება*

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, საბანკო ოვერდრაფტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

## (ლ) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების კლასიფიკაცია ხდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციებისა და სააქციო ოფციონის გამოშვების შედეგად უშუალოდ წარმოშობილი დამატებითი ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის წმინდა ღირებულებიდან დაქვითვის სახით.

## (I) გაუფასურება

### *(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები*

*ფინანსური ინსტრუმენტები*

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ECL-თვის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე..

ჯგუფი აფასებს ზარალის რეზერვს მოსალდონელი საკრედიტო ზარალის ვადის ტოლი მოცულობით, ქვემოთ მოცემულის გარდა, რომლებიც ფასდება 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით:

- სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც არ აქვთ საკრედიტო რისკი ანგარიშგების თარიღისთვის; და
- სხვა სავალო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომლებზეც საკრედიტო რისკი (ე.ი. დეფოლტის რისკი ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ვადაში) მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

საჭირო მოთხოვნებთან და საკონტრაქტო აქტივებისთვის დაკავშირებით ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის არსებობის ვადის ტოლი მოცულობით.

იმის განსაზღვრისას მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი განიხილავს სათანადო და დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამო ხარჯების ან ძალისხმევების გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის გამოცდილების და საკრედიტო შეფასების საფუძველზე და მოიცავს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

ჯგუფი თვლის, რომ საკრედიტო რისკი ფინანსურ აქტივზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუ 30 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია..

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტად, როდესაც:

- მსესხებელს არ შეუძლია გადაუხადოს თავისი საკრედიტო ვალდებულებები ჯგუფს სრულად, ჯგუფის მიერ ისეთი ზომების მიღების გარეშე, როგორიცაა უზრუნველყოფის რეალიზაცია (ასეთი ფლობის შემთხვევაში);
- ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტია;

ჯგუფი თვლის, რომ სავალო უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი გლობალურად გასაგები დეფინაციის - „საინვესტიციო კატეგორია“ - ექვივალენტურია

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედების/არსებობის ვადა არის ECLs რომელიც წარმოიშობა დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევიდან ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში.

12-თვიანი ECLs წარმოადგენს ECL-ს ნაწილს, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევებიდან ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (ან უფრო მოკლე ვადაში, თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოქმედების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას მაქსიმალური პერიოდი არის მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაში ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება*

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო ზარალების ალბათობებით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება როგორც ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებას ელოდება ჯგუფი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით..

*კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული ფინანსური აქტივები*

თითოეულ ანგარიშგების დღეს ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და FVOCI-ით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული. ფინანსური აქტივი „კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებულია“ როდესაც ადგილი ექნება ერთ ან მეტ მოვლენას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის მომავალ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურების დამადასტურებელი ფაქტორები მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა დეფოლტის ან 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების სახით;
- სესხის რესტრუქტურიზაცია ან ავანსი ჯგუფის მიერ იმ პირობებში, რომელსაც ჯგუფი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- არსებობს მსესხებლის გაკოტრების ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა; ან
- ფასიანი ქაღალდის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო..

**…დნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარმოდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.**
…ტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი იქვითება …ვების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

*ჩამოწერა*
ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მაშინ, როდესაც ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენის გონივრული მოლოდინები. ჯგუფი ინდივიდუალურად ახორციელებს შეფასებას ჩამოწერის ვადებთან და ოდნობასთან დაკავშირებით იმის საფუძველზე არსებობს თუ არა აღდგენის გონივრული მოლოდინები. ჯგუფი არ ელოდება ჩამოწერილი თანხიდან მნიშვნელოვან ამოღებას. თუმცა ფინანსური აქტივი, რომელიც ჩამოწერილია, შესაძლოა კვლავ დაექვემდებაროს აღსრულების მოქმედებებს გადასახდელი თანხების ამოღების პროცედურების შესრულების მიზნით.

### *(ii) არაფინანსური აქტივები*
ჯგუფის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, საბალანსო ღირებულებები გადაიხედება თითოეულ საანგარიშო დღეს გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება..

გაუფასურების შემოწმების მიზნებისთვის, აქტივები, რომელთა შემოწმება ინდივიდუალურად შეუძლებელია, დაჯგუფდება იმ აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომელიც წარმოქმნის ფულად შემოსულობებს უწყვეტი გამოყენებისგან, რაც მნიშვნელოვნად დამოუკიდებულია სხვა აქტივების ფულად შემოდინებებისგან ან CGU-გან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ წარმოქმნის ცალკე ფულად შემოდინებებს და გამოიყენება ერთზე მეტი CGU-ს მიერ. კორპორატიული აქტივები ნაწილდება CGU-ზე სათანადო საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე CGU-ს შემოწმების ფარგლებში, რომელზეც განაწილდა კორპორატიული აქტივი.

აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდეს სამომხმარებლო ღირებულებას და მის სამართლიან ღირებულებას შორის, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები. სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის (CGU) დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია თუ აქტივის ან დაკავშირებული ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულის (CGU) საბალანსო ღირებულება აღემატება შეფასებულ ანაზღაურებად თანხას.

გაუფასურებით მიყენებული ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულში განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად (CGU-ის ჯგუფი) და შემდეგ სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებების შესამცირებლად CGU -ში (CGU-ის ჯგუფი) პროპორციულ საფუძველზე.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება ხორციელდება თითოეული საანგარიშო თარიღისათვის, რაიმე ნიშნის არსებობის გამოვლენის მიზნით, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხდება იმ შეფასებებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც გამოიყენება ჩანაცვლების ღირებულების დასადგენად. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის რევერსირება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით იმ პირობით, რომ გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი ადრე არ იყო აღიარებული.

## (მ) იჯარები
ჯგუმა გამოიყენა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და შესაბამისადშედარებითი ინფორმაცია არ არის ხლახლა ფორმულირებული და წარმოდგენილი იქნება ბასს 17 და ფაისკ 4-ში.
4. სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები ბასს 17-ის და ფაისკ 4-ის შესაბამისად გამჟღავნებულია ცალკე.

## ...ლის 1 იანვრიდან გამოსაყენებელი პოლიტიკა

...ტრაქტის დაწყებისას, ჯგუფი აფასებს მოიცავს თუ არა კონტრაქტი იჯარას, კონტრაქტის არის ან ...ცავს იჯარას იმ შემთხვევაში, თუ ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების ...ონტროლის უფლებას დროის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად მოიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას , ჯგუფი იყენებს იჯარის განსაზღვრებას ფასს 16-ში. .

ეს პოლიტიკა ვრცელდება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ გაფორმებულ კონტრაქტებზე.

### *(i) როგორც მოიჯარე*

კონტრაქტის დაწყებისას ან მოდიფიკაციისას, რომელიც მოიცავს იჯარის კომპონენტს ჯგუფი გაანაწილებს ანაზღაურებას კონტრაქტში თითოეულ იჯარის კომპონენტზე ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლების ფორმით და იჯარის ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლების ფორმით თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს დაწყების დღეს ან წინ განხორციელებული საიჯარო გადახდაზე შესწორებულ საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ თანხას, პლუს გაწეული თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები და ხარჯების შეფასება საბაზისო აქტივის დემონტაჟისთვის და მოცილებისთვის ან საბაზისო აქტივის ან ობიექტის აღდგენისთვის, სადაც ის მდებარეობა, მინუს მიღებული საიჯარო სტიმულები.

აქტივი გამოყენების უფლების ფორმით შემდეგ გაუფასურდება წრფივი მეთოდის გამოყენებით საიჯარო ვადის დაწყების თარიღიდან დასრულებამდე, სანამ იჯარის ფარგლებში არ მოხდება საბაზისო აქტივების საკუთრების უფლებსი გადაცემა ჯგუფისთვის საიჯარო ვადის ბოლოს ან გამოყენების უფლების ფორმით აქტივის ხარჯი ასახავს, რომ ჯგუფი გამოიყენებს შესყიდვის ოფციონს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურდება აქტივი გამოყენების უფლების ფორმით საბაზისო აქტივის სასარგებლო ვადაში, რომელიც განისაზღვრება იმავე საფუძველზე, როგორც ძირითადი საშუალებები. გარდა ამისა, აქტივი გამოყენების უფლების ფორმით პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით, თუ ასეთი არსებობს და კორექტირებულია საიჯარო ვალდებულების კონკრეტულ ხელახლა შეფასებაზე.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისთვის, დისკონტირებული იჯარაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით ან თუ შეუძლებელი იქნება ამ განაკვეთის განსაზღვრა, ჯგუფის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად ჯგუფი იყენებს მზარდ სასესხო განაკვეთს როგორც დისკონტის განაკვეთს.

ჯგუფი განსაზღვრავს მზარდ სასესხო განაკვეთს საპროცენტო განაკვეთების მოპოვებით სხვადასხვა გარეშე ფინანსური წყაროებიდან და ახორციელებს კონკრეტულ შესწორებებს იჯარის პირობების და საიჯარო აქტივის ასახვისთვის.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული გადახდები, მათ შორის არსებითი ფიქსირებული გადახდები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, თავდაპირველად შეფასებული ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით დაწყების დღეს.
- თანხები, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე; და
- რეალიზაციის ფასი შესყიდვის ოფციონის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულად ცნობილია, რომ ჯგუფმა უნდა გამოიყენოს, საიჯარო გადახდები ოფციონურ განახლების პერიოდში, თუ დადასტურებულად ცნობილია, რომ ჯგუფმა უნდა გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი და ჯარიმები იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურებულად ცნობილია, რომ ჯგუფი არ შეწყვეტს იჯარას ვადამდე.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მისი ხელახლა შეფასება ხდება როდესაც არსებობს ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რაც ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებით არის გამოწვეული, თუ არსებობს ცვლილება ჯგუფის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი თანხის შეფასებაში, თუ ჯგუფი შეცვლის თავის შეფასებას იმასთან დაკავშირებით გამოიყენებს თუ არა შესყიდვის, გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციონს ან თუ არსებობს შესწორებული არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება ხელახლა შეფასდება ამ სახით, შესაბამისი შესწორება ბუღალტრულდება გამოყენების უფლების ფორმის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდება ნულამდე.

ჯგუფი წარმოადგენს აქტივს გამოყენების უფლების ფორმით, რომელიც არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განსაზღვრევას „ძირითად საშუალებებში“ და საიჯარო ვალდებულებებს „სესხებში და კრედიტებში“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ჯგუფმა გადაწყვიტა არ აღიაროს აქტივი გამოყენების უფლების ფორმით და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების აქტივების და მოკლევადიანი იჯარებისთვის. ჯგუფი აღიარებს აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს როგორც ხარჯს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

### *(ii) როგორც მეიჯარე*

კონტრაქტის დაწყებისას ან მოდიფიკაციისას, რომელიც მოიცავს იჯარის კომპონენტს ჯგუფი გაანაწილებს ანაზღაურებას კონტრაქტში თითოეულ იჯარის კომპონენტზე ინდივიდუალური ფასების საფუძველზე

როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე, ის განსაზღვრავს იჯარის დაწყებისას იჯარა ფინანსურია თუ საოპერაციო. .

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისას ჯგუფი ახდენს საერთო შეფასებას გადასცემს თუ არა იჯარა არსებითად ყველა რისკს და სარგებელს საბაზისო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებით. თუ ამ შემთხვევაში იჯარა არის ფინანსური იჯარა; წინააღმდეგ შემთხვევაში, არის საოპერაციო იჯარა. ამ შეფასების ფარგლებში ჯგუფი ითვალისწინებს კონკრეტულ ინდიკატორებს, როგორიცაა არის თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილში.

როდესაც ჯგუფი არის შუამავალი მეიჯარე, ის აღრიცხვას თავის წილს ძირითად იჯარაში და ქვე-იჯარაში ცალკე. ის აფასებს ქვე-იჯაარის საიჯარო კლასიფიკაციას გამოყენების უფლების აქტივის მითიტებით, რომელიც წარმოიშობა ძირითადი იჯარიდან და არა საბაზისო აქტივზე მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი იჯარა არის მოკლევადიანი იჯარა, რომელზეც ჯგუფი იყენებს ზემოთ აღწერილ გამონაკლისს, მაშინ ის ქვე-იჯარის კლასიფიკაციას ახდენს, როგორც საოპერაციო იჯარას. .

თუ შეთანხმება მოიცავს იჯარის და არა-იჯარის კომპონენტებს, მაშინ ჯგუფი იყენებს ფასს 15-ს კონტრაქტში გასათვალისწინებლად.

ჯგუფი იყენებს არ-აღიარების და გაუფასურების მოთხოვნებს ფასს 9-ში წმინდა ინვესტიციაზე იჯარაში. ჯგუფი რეგულარულად განიხილავს შეფასებულ არაგარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს, რომელიც გამოიყენება მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში იჯარაში.

ჯგუფი აღიარებს საიჯარო გადახდებს, რომელიც მიღებულია საოპერაციო იჯარების ფარგლებში, როგორც შემოსავალს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში, „სხვა შემოსავლის“ ფარგლებში.

ზოგადად სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვრცელდება ჯგუფზე, როგორც მეიჯარეზე, შედარებით პერიოდში, არ იყო განსხვავებული ფასს 16-გან, გარდა ქვე-იჯარის კლასიფიკაციისა, რომელიც გაფორმებულია მიმდინარე ანგარიშგების პერიოდში, რომელიც მიღებულია ფინანსური იჯარის კლასიფიკაციაში.

### *2019 წლის 1 იანვრამდე გამოსაყენებელი პოლიტიკა*

კონტრაქტები, რომლებიც გაფორმდა 2019 წლის 1 იანვრამდე, ჯგუფმა განსაზღვრა იყო თუ არა ან მოიცავდა თუ არა შეთანხმება იჯარას შემდეგი შეფასების საფუძველზე:

- დამოკიდებული იყო თუ არა შეთანხმება კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე; და
- ითვალისწინებდა, თუ არა შეთანხმება აქტივის გამოყენების უფლებას. შეთანხმება ითვალისწინებდა აქტივის გამოყენების უფლება, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი:
- ჰქონდა თუ არა შემსყიდველს შესაძლებლობა ან უფლება აქტივის ოპერირებაზე, უმნიშვნელოზე მეტი ოდენობის მოპოვებით ან კონტროლით;
- ჰქონდა თუ არა შემსყიდველს შესაძლებლობა ან უფლება ფიზიკური წვდომის კონტროლისთვის აქტივზე, უმნიშვნელოზე მეტი თანხის მოპოვებით ან კონტროლით; ან
- მიუთითებდა თუ არა გარემოებები, რომ სხვა მხარეები მიიღებენ უმნიშვნელოზე მეტ თანხას და თითოეული ერთეულის ფასი არ იყო ფიქსირებული, და არც ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასის ტოლი.

*როგორც მოიჯარე*

შედარებით პერიოდში, ჯგუფმა, როგორც მოიჯარემ, მოახდინა იჯარების კლასიფიკაცია, რომელმაც გადასცა საკუთრების არსებითად ყველა რისკს და სარგებელს ვადაცდა, როგორც ფინანსური იჯარების. ასეთ შემთხვევაში, საფასო აქტივები თავდაპირველად შეფასდა თანაბრად, რომელიც მოცემული თანხებიდან უფრო ნაკლებია. მათი სამართლიანი ღირებულება და მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულება. მინიმალური საიჯარო გადახდები იყო გადახდები საიჯარო ვადაში, რომელიც უნდა გადაეხადა მოიჯარეს. ნებისმიერი პირობითი იჯარის გარდა. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქტივები აღირიცხა ასეთ აქტივზე მოქმედი სალრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

სხვა იჯარების ფარგლებში არსებული აქტივები კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარებად და არ იყო აღიარებული ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარების ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარებული იყო მოგებაში და ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში. მიღებული საიჯარო სტიმულები აღიარებული იყო საერთო საიჯარო ხარჯის განუყოფელ ნაწილად, იჯარის ვადაში.

*(ii) როგორც მეიჯარე*

როდესაც ჯგუფი მოქმედებდა მეიჯარის სახით, იჯარის დაწყებისას განისაზღვრა თითოეული იჯარა ფინანსური იჯარა იყო თუ საოპერაციო იჯარა.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისას ჯგუფი ახდენს საერთო შეფასებას გადასცემს თუ არა იჯარა არსებითად ყველა რისკს და სარგებელს საბაზისო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებით. თუ ამ შემთხვევაში იჯარა არის ფინანსური იჯარა; წინააღმდეგ შემთხვევაში, არის საოპერაციო იჯარა. ამ შეფასების ფარგლებში ჯგუფი ითვალისწინებს კონკრეტულ ინდიკატორებს, როგორიცაა არის თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილში

## 25. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მიღებული

არსებობს ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელთა ათვლა იწყება 2020 წლის 1 იანვრიდან და დაშვებულია მათი ნაადრევად გამოყენება. თუმცა, ჯგუფმა ნაადრევად არ მიიღო ისინი წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას..

ქვემოთ მოცემული შესწორებული სტანდარტები და ინტერპეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- *ცვლილებები კონცეპტუალური სტუქტურების მითითებებში ფასს სტანდარტებში.*
- *ბიზნესის განსაზღვრება (ცვლილებები ფასსს 3-ში).*
- *მასალის განსაზღვრება (ცვლილებები ბასს 1 და ბასს 8-ში).*
- *ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები.*

## 26. შემდგომი მოვლენები

**ცვლილებები საბოლოო მშობელ კომპანიაში**

საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 28 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიის სს საპარტნიორო ფონდის აქციები გაუქმდება. სს საპარტნიორო ფონდის შეიცვლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთი. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრს სახელით.

## კოვიდ-19 ეპიდემია

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) გამოაცხადა კოვიდ-19 კორონავირუსის პანდემია. საქართველოში პირველი შემთხვევა ოფიციალურად აღირიცხა 2020 წლის 26 თებერვალს. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ საქართველოს მთავრობამ დააწესა სხვადასხვა შეზღუდვები საქმიანობებზე ქვეყნის ფარგლებში, მათ შორის აკრძალვა მოგზაურობაზე ყველა ქვეყანაში, ქვეყნის ფარგლებში კონკრეტულ საათებში, დახურა ყველა საჯარო ტრანსპორტი, შეაჩერა კომერციული საქმიანობა, იმ საქმიანობების გარდა, რომელთა განხორციელება დისტანციურად სახლიდან არის შესაძლებელი, და ასევე კონკრეტული საქმიანობის გარდა (სურსათის მაღაზიები, აფთიაქები, კომერციული ბანკები, გაზგასამართი სადგურები, ფოსტა და სხვა).

კოვიდ-19 ეპიდემიამ და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოში არსებითი ზემოქმედება მოახდინა და გამოიწვია ცვლილებები ბიზნეს გარემოში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, შედეგად გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის ბრძანებულების საფუძველზე. ბრძანებულების შესაბამისად საგანგებო მდგომარეობა გაგრძელდებოდა 2020 წლის 21 აპრილამდე, ხოლო შემდეგ გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე.

საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება ჯგუფის საქმიანობებზე.

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N200386185 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 29.06.2020 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **ქეთევან გრიგოლია** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | **593 127322** |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 57764229372120 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცი წლის ოცდაცხრა ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუს ქეთევან გრიგოლიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №45, მე-3 სართულზე, მომმართა: **გრიგორ ქაჯაიამ** (დაბადებული 24.07.1954წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №13IH16948, პირადი №01009023011, გაცემული 29.09.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 51, ბინა 15) პროფესიით გერმანული ენის და ინგლისური ენის მთარგმნელი, რომელსაც სურდა მის მიერ თარგმნილ საბუთებზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ შევამოწმე **გრიგორ ქაჯაიას** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შევამოწმე მისი უფლებამოსილება (დიპლომი Г-I №185052, გაცემული 1978 წლის 1 ივლისს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის მიერ, ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი გერმანული ენის და ინგლისური ენის სპეციალობით, რეგისტრაციის №314).

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც დადგენილია არასწორი თარგმანის შემთხვევაში და განვუმარტე, რომ ვამოწმებ საბუთზე ხელმოწერას და შინაარსზე პასუხს არ ვაგებ, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე თარგმანს.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 42 (ორმოცდაორი) ხელმოწერა, 84 (ოთხმოცდაოთხი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 15.12 (თხუთმეტი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 101.12 (ას ერთი ლარი და თორმეტი თეთრი) ლარი.

**ნოტარიუსი:** **ქეთევან გრიგოლია**

შპს „KPMG საქართველო“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/I/050/20

25 სექტემბერი 2020

## მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2020 წლის 25 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2020 წლის 25 სექტემბრით გამოცემულია კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2020 წლის 24 ივნისს არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2020 წლის 24 ივნისის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი

აუდიტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“

შპს „KPMG საქართველო“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooprative („KPMG International“).

# მმართველობითი ანგარიში 2019

**სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"**

საქართველო, თბილისი0105

ბარათაშვილის ქ. №2

**2019წელი**

შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| 1. | ტერმინთა განმარტება | 2 |
| 2. | საქმიანობის მიმოხილვა | 3 |
| 3. | სსე-ს მმართველთა საბჭო | 7 |
| 4. | ფინანსური მაჩვენებლები | 11 |
| 5. | რისკები | 14 |
| 6. | 2019 წლის ფაქტები და მაჩვენებლები | 18 |
| 7. | სსე გადაცემა | 21 |
| 8. | სტრატეგიული დაგეგმვა 2020-2030 | 23 |
| 9. | ადამიანური რესურსები | 27 |
| 10. | გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა | 28 |
| 11. | 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება | 30 |

## 1. ტერმინთა განმარტება

სსე - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

სემეკი- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

კვტ სთ - კილოვატ საათი

მვტ - მეგავატი

ეგხ- ელექტროგადამცემი ხაზი

ქ/ს - ქვესადგური

ასა -ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის სისტემა

რაბ - რეგულირებადი აქტივების ბაზა

WB - მსოფლიო ბანკი

KfW - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი

EBRD - ევროპის რეონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ESMS - გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა

## 2. საქმიანობის მიმოხილვა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გადაცემას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და წარმოადგენს დისპეტჩერიზაციის ერთადერთ ლიცენზიანტს. სსე გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურებას უწევს კვალიფიციურ საწარმოებს. მისი აქციების 100%-ის მფლობელია სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“. სსე 2002 წელს შეიქმნა სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაციის“ შერწყმის შედეგად. „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ (სემეკ) მიერ გაცემული ლიცენზიებისა და გადაცემა-დისპეტჩერიზაციისათვის დადგენილი ტარიფების საფუძველზე, სსე ახორციელებს სისტემის ტექნიკურ მართვას ელექტროენერგიის მიწოდება-მოხმარების სტაბილური რეჟიმის უზრუნველსაყოფად, და საქართველოში წარმოებულ ან იმპორტირებულ ელექტროენერგიას გადასცემს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს, პირდაპირ მომხმარებლებს ან მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებს. სსე საქმიანობას ახორციელებს სემეკ-ის მიერ 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიების საფუძველზე.

2014 წლის დეკემბრიდან, სსე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების მიხედვით, მოქმედებს „გადამცემი სისტემის ოპერატორი“-ს სტატუსით, რომლის თანახმად იგი უფლებამოსილია, გადაცემის სხვა ლიცენზიანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოს მათი კუთვნილი გადამცემი ქსელის ოპერირება და განვითარების დაგეგმვა.

2020 წლის 29 მაისს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირების ლიცენზია მიენიჭა. სალიცენზიო პირობების თანახმად, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უზრუნველყოფს საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერირებას, უბალანსობის საფასურის გაანგარიშებას და განსაზღვრავს ფინანსური გარანტიების ოდენობას.

### დისპეტჩერიზაცია

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი განლაგებულია თბილისის ცენტრში, სათაო ოფისში. ეროვნული სადისპეტჩერო:

- ახორციელებს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიულ მართვას;
- პასუხისმგებელია 500/400/330/220/110/35კვ ელექტროგადამცემი ქსელის და დანადგარების უსაფრთხო, საიმედო, ეკონომიურ მუშაობასა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობაზე;
- უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული სისტემის როგორც ერთიანი ობიექტის, მუშაობას ნორმალურ და ავარიულ რეჟიმებში;
- აღჭურვილია უახლესი ინფორმაციული და საოპერაციო ტექნოლოგიებით, რითაც შესაძლებელია სისტემის შესახებ ინფორმაციის „ონ-ლაინ“ რეჟიმში მიღება, სისტემის დისტანციური მართვა და ავარიული სიტუაციების ეფექტური მართვა;
- ქვესადგურებიდან და სადგურებიდან იღებს სრულ ინფორმაციას მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზის საფუძველზე, რისი მეშვეობითაც პერსონალი ოპერატიულად რეაგირებს ავარიულ სიტუაციებში.

## გადაცემა

სსე-სადა მისი შვილობილი კომპანიის - „ენერგოტრანსის“ ბალანსზე ირიცხება 500/400/220/110/35კვ გადამცემი ხაზები საერთო სიგრძით - 3 434 კმ, და 93ქვესადგური საერთო დადგმული სიმძლავრით - 11 938მვა, მათ შორის ექვსი (6) სტრატეგიული მნიშვნელობის 500 კვ ქვესადგური და თვრამეტი (18) 220კვ ქვესადგური.

ამასთან, სსე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის (WB, KfW, EBRD, WB) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს მაღალი ძაბვის ქვსადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას/რეაბილიტაციას. უახლესი 5-6 წლის განმავლობაში დამატებით დაგეგმილია დაახლოებით 700 კმ ელექტროგადამცემი ხაზის და 11 ერთეული ქვესადგურის მშენებლობა.

## შვილობილი კომპანიები

- შპს „ენერგოტრანსი“ - 100% წილის მფლობელია სსე. კომპანია წარმოადგენს ელ.ენერგიის გადაცემის ლიცენზიატს. ასევე მისი საქმიანობა მოიცავს თურქეთთან დამაკავშირებელი 500კვ და 400კვ სისტემათაშორისი ხაზების ექსპლუატაციას.
- სს „კარჩალი“ - სსე-ს საკუთრებაშია აქციათა 99%. კომპანიის ძირითადი ფუნქციაა საქართველოსა და თურქეთს შორის ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებისა და თურქეთის ენერგობაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ - ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი, რომელიც დაფუძნდა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 50/50%-იანი წილობრივი მონაწილეობით. „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ პასუხისმგებელია ელექტროენერგიის დღიური და დღით ადრე ბაზრების ოპერირებაზე.

## მისია

სსე-ს მისიაა უსაფრთხო, სტაბილური და ეკონომიკურად გამართლებული ელექტროენერგიის გადაცემის სისტემის შექმნა, სრულყოფა და ოპერირება კომპანიის მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

## ხედვა

რეგიონის ენერგეტიკულ სექტორში სსე-ს ლიდერად ჩამოყალიბება, ქვეყნის სატრანზიტო როლის განვითარება, ადგილობრივი და საერთაშორისო მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა და გარემოსდავითი და სოციალური საკითხების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა. დასახულ კორპორატიული მიზნების მიღწევა შესაძლებელია ბაზარზე და მომხმარებელთა ინტერესებზე ორიენტირებული მდგრადი სისტემის და შესაბამისი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებით. ხედვაში დაფიქსირებული მდგომარეობის მიღწევა დაგეგმილია:

- საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ ელექტროენერგიის გადაცემის პროცესის ოპტიმიზაციით;

- მართვისა და დაგეგმვის პროცესების კოორდინაციით, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციებს გადაცემის სისტემის სანდოობის ამაღლებას, ასევე, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და საჯარო პოლიტიკის მიზნების შესრულებას;
- მაღალტექნოლოგიური ქსელის განვითარებით, რაც უზრუნველყოფს სისტემის დაბალანსებასა და დაუბრკოლებელ მუშაობას საიმედო მონაცემების, სათანადო საკომუნიკაციო და ავტომატიზირებული სისტემების გამოყენებით
- კომპანიაში„გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების მართვის სისტემის“ ჩამოყალიბებით.

## კომპანიის სტრატეგიული ამოცანები

1. ქსელის ტექნიკური სანდოობისა და მდგრადობის შენარჩუნება
2. ელექტროენერგიის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშესაწყობად მზაობის უზრუნველყოფა
3. ფინანსური თავსებადობისა და დაგეგმვის უზრუნველყოფა
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირებული სისტემის დანერგვა
5. ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება
6. კომპანიის კომერციულად ორიენტირება და ორგანიზაციული კულტურის შესაბამისად გარდაქმნა

## საიმედოობა

სს-ს ბიზნეს მოდელი საკმაოდ მარტივია. როგორც საქართველოს გადამცემი სისტემის ერთადერთი ოპერატორი, სსე და მისი შვილობილი კომპანიები მიმართული არიან ელექტროგადამცემი ქსელის საიმედოობის ამაღლებისკენ. ეს ის საძირკველი და მუდმივი მამოძრავებელია, რომელსაც აღნიშნული კომპანიები ეფუძნება. გაძლიერებულმა ძალისხმევამ, სსე-ს მომსახურების მთელ არეალში ახლით შეცვლილიყო მოძველებული გადამცემი ობიექტები და მოწყობილობები, შედეგად გამოიღო გაზრდილი საიმედოობა და ეფექტურობა, ამასთან, შესაძლებელი გახადა გენერაციის ახალი წყაროების ინტეგრაცია, განახლებადი რესურსების ჩათვლით. სიმძლავრის ზრდის მეშვეობით, სსე-ს კაპიტალური პროექტები ხელს უწყობს და აუმჯობესებს სისტემების მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას. გეგმიური ტექნიკური მომსახურებისადმი სსე-ს ყურადღება კიდევ უფრო ზრდის  სისტემის საიმედოობას, დაუგეგმავი გამორთვების შემცირების გზით. ეს საიმედოობა თვალსაჩინოა ენრგოსისტემის მდგრადად მუშაობისას სტრესულ პირობებში ზაფხულისა და ზამთრის თვეებში, განსაკუთრებული სიცხისა და სიცივის დროს, როცა ელექტროენერგიაზე მოთხოვნა უმაღლეს დონეს აღწევს.

### ენერგოეფექტურობა

როცა ელექტროენერგია გრძელ მანძილზე გადაიცემა დაბალი სიმძლავრის ხაზებით, ენერგოეფექტურობა შესაძლოა, შემცირდეს. ენერგოეფექტურობას ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს გადატვირთული ხაზები. ამიტომ სსე, გადამცემ ქსელში ჩადებული ინვესტიციების მეშვეობით, ამცირებს ელექტროენერგიის კარგვებს და ამასთან, ზრდის ენერგოეფექტურობას. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, როგორიც, მაგალითად, სსე-ს პროექტების ფარგლებში შენდება, მეტად ეფექტური და არსებითად უფრო საიმედოა. მოწინავე ტექნოლოგიების დახმარებით, შესაძლებელია მრავალ რეგიონში განფენილი გადამცემი სისტემის ეფექტური მართვა. თანამედროვე ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრი იძლევა სისტემის პირდაპირი მონიტორინგის საშუალებას 24 საათის განმავლობაში, კვირაში შვიდი დღე. სისტემის ოპერატორები იყენებენ სიტუაციური ინფორმირების უზრუნველმყოფ სხვადასხვა საშუალებას, ქსელში წარმოშობილი საოპერაციო სახის პრობლემების აღმოჩენისა და გადაწყვეტისთვის.

### პროფესიონალური საქმიანობის მაღალი სტანდარტები

საკუთარ გადამცემ სისტემაზე სსე-ს განსაკუთრებულ ზრუნვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ელექტროენერგიის საიმედოობისა და ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში. გეოგრაფიულად გაფანტული აქტივების დაცვა ურბანულ და რურალურ არეალებში ზედმიწევნით დაგეგმვასა და დიდ ძალისხმევას საჭიროებს. სსე-მ ეროვნული აღიარება მოიპოვა თავისი საქმიანობითა და მაღალი ძაბვის ელექტროსისტემების წარმატებით დაცვის გზით.

### უსაფრთხოება

სსე-ს თანამშრომლებისა და კონტრაქტორების უსაფრთხოება კომპანიის კულტურისა და ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. უსაფრთხოების მოწინავე სტანდარტები ინერგება კორპორაციულ კულტურაში, რაც აისახება კიდეც სსე-ს საქმიანობაზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გადაცემაში შენარჩუნებულია უსაფრთხოების უმაღლეს მაჩვენებელი, დაკარგული სამუშაო დღეებისა და აღრიცხული ტრავმების ნულოვანი ნიშნულებით.

## 3. სსე-ს მმართველთა საბჭო

### უჩა უჩანეიშვილი - მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

უჩა უჩანეიშვილი სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის მმართველად / მმართველთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა 2019 წლის მაისში.

2018 წლიდან ხელმძღვანელობდა სსე-ის გადაცემის მიმართულებას, ხოლო 2008-2018 წლებში - დისპეტჩერიზაციის მიმართულებას. უჩას აქვს ენერგეტიკის სფეროში, მათ შორის, მმართველობით თანამდებობებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ის 1994 წლიდან მუშაობდა ,,საქენერგოში“, ხოლო შემდგომ ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“, დისპეტჩერის, მთავარი დისპეტჩერის და დისპეტჩერიზაციის აღმასრულებელი მენეჯერის თანამდებობებზე. უჩას დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მინიჭებული აქვს ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია.

### ზაქარია ავალიანი -მმართველთა საბჭოს წევრი

ზაქარია ავალიანი სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრად დაინიშნა 2018 წელს. ის ხელმძღვანელობს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებას. ზაქარიას აქვს ენერგეტიკის სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. 2014-2018 წლებში იყო გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2011 წლიდან მუშაობდა საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ენერგეტიკულ კომპანიაში - სს ,,საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციის“ ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე. 2007 წლიდან მუშაობდა სს ,,საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციის“ საერთაშორისო პროექტების მენეჯერად. კარიერის დასაწყისში, საქმიანობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით. ზაქარიას დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეურნეო სამართლის განხრით.

### გიორგი ამუზაშვილი -მმართველთა საბჭოს წევრი

გიორგი ამუზაშვილი სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრად და დისპეტჩერიზაციის მიმართულების ხელმძღვანელად დაინიშნა 2017 წელს. გიორგი კომპანიას შემოუერთდა 2009 წელს და მუშაობდა დისპეტჩერის, უფროსი დისპეტჩერის, ტექნიკური ინსპექციის უფროსი ინჟინრის, მთავარი დისპეტჩერის მოადგილის, ქსელის ქვესადგურების განვითარების პროექტების მენეჯერის და WAM- ის პროექტის მენეჯერის თანამდებობებზე. 2016-2017 წლებში მუშაობდა კომპანიაში შპს ,,ბიპი საქართველო“, 2006-2009 წლებში - სს ,,ენერჯი ინვესტში“, ხოლო 2003-2005 წლებში -შპს ,,აღმოსავლეთის ენერგოკორპორაციაში“. გიორგის დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მინიჭებული აქვს ინჟინერ-

ელექტრიკოსის კვალიფიკაცია. მას ასევე მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ელექტროენერგეტიკაში - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

### ზურაბ ეზუგბაია - მმართველთა საბჭოს წევრი

ზურაბ ეზუგბაია სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრად დაინიშნა 2008 წელს. ის ხელმძღვანელობს ელექტროენერგიის საბალანსო ბაზრის და საერთაშორისო ინტერკონექციის მიმართულებებს. ზურაბი ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შემოუერთდა 2004 წელს და მუშაობდა იურიდიული მენეჯერის და იურიდიული აღმასრულებელი მენეჯერის თანამდებობებზე. 2001-2003 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე და სამინისტროს საპარლამენტო მდივანი. 2001 წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილედ. 2000-2001 წლებში საქმიანობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, მოქალაქეობის, იმიგრაციის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის და ნოტარიატის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. ზურაბს დამთავრებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია.

### დავით ვარდიაშვილი - მმართველთა საბჭოს წევრი

დავით ვარდიაშვილი სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრად დაინიშნა 2018 წელს. ის შესყიდვებისა და ლოგისტიკის მიმართულებებს ხელმძღვანელობს. დავითი 2018 წელს, ასევე, 2014-2016 წლებში მუშაობდა სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე. მას აქვს სახელმწიფო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. 2017-2018 წლებში საქმიანობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. 2016-2017 წლებში იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, 2013-2014 წლებში - ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილე. დავით ვარდიაშვილს ენერგეტიკის სექტორში მუშაობის სოლიდური გამოცდილება გააჩნია. 2009-2010 წლებში იყო შპს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანიის“ გენერალური დირექტორი, ხოლო 2007-2008 წლებში - სახელმწიფო ნავთობის კომპანიის სს ,,თელეთის ნავთობის კომპანიის“ (ყოფილი სს ,,საქნავთობი“) გენერალური დირექტორი, შპს ,,იორის ველი ნავთობი და გაზის“ გენერალური დირექტორი, შპს ,,ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალური დირექტორის მრჩეველი. სხვადასხვა პერიოდში, მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიაში, საქართველოს პარლამენტის აპარატში, ტრანსპორტის სამინისტროში. დავითს ასევე აქვს მმართველ თანამდებობებზე მუშაობის 13-წლიანი სტაჟი შემოსავლების სამსახურში. დავითს დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი. არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი.

### მამუკა სხილაძე - მმართველთა საბჭოს წევრი

მამუკა სხილაძე სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრად დაინიშნა 2011 წელს. ის ხელმძღვანელობს კომპანიის ფინანსურ მიმართულებას. 2010-2011 წლებში საქმიანობდა ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილ კომპანია ,,ენერგოტრანსში”, ფინანსურ საკითხებში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. 2006-2007 წლებში მუშაობდა ,,თეგეტა მოტორსში”, ფინანსურ დირექტორად, 2007-2008 წლებში - ,,საქართველოს ბანკში”, ბიუჯეტისა და კონტროლის განყოფილების უფროსად, 2006 წელს - აუდიტორულ კომპანია ,,PricewaterhouseCoopers“-ში, უფროს აუდიტორად, 2005 წელს - აუდიტორულ კომპანია ,,Deloitte“-ში, აუდიტორ-სუპერვაიზორად. მამუკას მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ,,ბიზნესის სკოლა - ESM თბილისში“.

### ვახტანგ ბეგიაშვილი - მმართველთა საბჭოს წევრი

ვახტანგ ბეგიაშვილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრად დაინიშნა 2019 წლის იანვარში. ის ხელმძღვანელობს კომპანიის კომერციულ მიმართულებას. მას აქვს ენერგეტიკის სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვახტანგი 2012 წლიდან ხელმძღვანელობდა შპს „საქართველოს ბიზნეს ჯგუფს“. 2008-2011 წლებში იყო ჰოლდინგური კომპანია „მაკროენერჯის“ გენერალური დირექტორი; 2004-2008 წლებში - შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ („გლობალ ტვ“) პარტნიორი და გენერალური დირექტორი; 2002-2004 წლებში - შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აღმასრულებელი დირექტორი; 2002 წელს - სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ აღმასრულებელი დირექტორი; 2001-2002 წლებში - „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ დირექტორის მოადგილე; 2001-2001 წლებში - სახელმწიფო კომპანია „საქნავთობპროდუქტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 90-იან წლებში საქმიანობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მათ შორის, 1993-1995 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი. ვახტანგს დამთავრებული აქვს თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვაჭრობის ეკონომიკის მიმართულებით და ირბახის სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. არის 4 წიგნის, 9 ნაშრომისა და 3 საერთაშორისო პატენტის ავტორი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

### ვახტანგ ქინქლაძე - მმართველთა საბჭოს წევრი

ვახტანგ ქინქლაძე სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს წევრად დაინიშნა 2019 წელს. ის ხელმძღვანელობს ტექნიკურ მიმართულებას. ვახტანგს აქვს ელექტროენერგეტიკის სექტორში მუშაობის 25-ზე მეტი წლის გამოცდილება. 2010 წლიდან, საქმიანობდა სს ,,თელასში“, სხვადასხვა მმართველობით თანამდებობაზე, 2013 წელს დაინიშნა აღნიშნული კომპანიის ტექნიკურ დირექტორად. 2007-2010 წლებში მუშაობდა სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის / კომერციული დირექტორის თანამდებობაზე. 2006-2007 წლებში საქმიანობდა სს ,,თბილსრესში“ აღმასრულებელი

დირექტორის თანამდებობაზე, ხოლო 2005-2006 წლებში - შპს ,,ვარციხე 2005“-ში დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე. ვახტანგს 2005-2007 წლებში, ასევე ეკავა სს ,,საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს ჯერ წევრის, შემდეგ კი თავმჯდომარის თანამდებობა. პროფესიული კარიერის დასაწყისში, ვახტანგი მუშაობდა სხვადასხვა ელექტროენერგეტიკულ კომპანიაში, მათ შორის ,,საქენერგოში“ საინჟინრო და მმართველობით თანამდებობებზე, იყო სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის კონსულტანტი ენერგეტიკის საკითხებში. ვახტანგს დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაციით, ასევე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სადაც მოიპოვა სახელმწიფო მართვის მაგისტრის ხარისხი. ვახტანგი არის საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი.

# 4. ფინანსური მაჩვენებლები

2019 წელი გამოირჩეოდა შემოსავლების მატებით. სსე-ს შემოსავლები 4%-ით გაიზარდა, 227.05 (2018 წ.) მილიონი ლარიდან 235.01 მილიონ ლარამდე, რაც ძირითადად გამოწვეულია გადაცემის მომსახურების მოცულობის ზრდით და კომპანიის რეგულირებადი ტარიფების მეთოდოლოგიის ცვლილების გამო მომსახურების ტარიფების მატებით. კომპანიამ შეასრულა რეაბილიტაციის გეგმით ნაკისრი ვალდებულებები, საფინანსო წლის განმავლობაში გადაიხადა უზრუნველყოფილი კრედიტორის წინაშე გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება დადგენილ ვადაში (17 მლნ ლარი).

წლის ბოლოსთვის, კომპანიის ანგარიშზე არსებული ნაღდი ფულის ოდენობა 101მლნ ლარს შეადგენდა. ფულადი სახსრების ეფექტური მართვის წყალობით გაზრდილი მოკლევადიანი ლიკვიდურობა და საბრუნავი კაპიტალი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დაგეგმილი შემოსავლები და შევინარჩუნოთ გათვლილი ხარჯების დონე.

2019 წელს გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სისტემის განახლება/რეაბილიტაციისთვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 62.8 მილიონი ლარი, საიდანაც 47მილიონი ლარი დაიხარჯა სსე-ს საკუთარი სახსრე-ბიდან.

დამოუკიდებელმა აუდიტორულმა კომპანიამ KPMG GeorgiaLtd. ჩაატარა სსე-ს 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტორები სსე-ს ფინანსურ ანგარიშგებას შემდეგნაირად აფასებენ: „ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს, ყოველგვარ მატერიალურ ასპექტში, სსე-ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.”

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსე-ს ფინანსური მდგომარეობა ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მოგება–ზარალის, კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშში, ასევე ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში (იხ. ფინანსური ანგარიშგების თავი).

### შემოსავლები

სსე-ს მიღებული შემოსავლები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4%–ით, რაც განპირობებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიის ცვლილებით და ქვეყნის მასშტაბით გაზრდილი მოხმარებით.

### კაპიტალური დანახარჯები


ქონების, მოწყობილობა–დანადგარებისა და არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილმა თანხამ შეადგინა 62.8 მლნ ლარი.

### მოგება


წლიური მოგება პროცენტის, გადასახადების, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე(EBITDA) გაიზარდა და შეადგინა 158.6 მლნ ლარი.

წლიურმა წმინდა შედეგმა (მოგება) ჯგუფის საქმიანობიდან შეადგინა 30.5 მლნ ლარი. (იხ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თავი).


საოპერაციო შემოსავლები 2019





შემოსავლები 2015-2019




კაპიტალური დანახარჯები (მლნ ლარი)





კაპიტალური დანახარჯები სულ (მლნ ლარი)




ელექტროენერგიის ექსპორტი 2015-2019




ექსპორტიდან შემოსავლები 2015-2019



## 5. რისკები

**რისკი 1:**გადამცემი ქსელის საიმედოობის არასაკმარისი ხარისხი (N-1 კრიტერიუმის შეუსრულებლობა).

**რისკის აღწერა:**გენერაციის ობიექტების მნიშველოვანი ნაწილი (ჰიდროსადგურები) მდებარეობს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, ხოლო მოხმარების ცენტრები - აღმოსავლეთ ნაწილში. გენერაციის ობიექტები და მოხმარების ცენტრები ერთმანეთთან დაკავშირებულია 500 კვ-იანი და 220-კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზებით (ეგხ). 500 კვ-იან ეგხ ,,იმერეთს“, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურსა და ქ/ს ,,ზესტაფონი 500"-ს, არ გააჩნია სრულფასოვანი ალატერნატივა (რეზერვი), სხვა ანალოგიური 500 კვ-იანი ეგხ-ის სახით.

**რისკის რეალიზაციის შესაძლო ეფექტი:**500 კვ-იანი ეგხ ,,იმერეთის" გამორთვის შემთხვევაში, 220 კვ-იან გადამცემ ქსელს არ გააჩნია ,,იმერეთის” სიმძლავრის სრულფასოვნად გადაცემის (რეზერვირების) ტექნიკური შესაძლებლობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყნის ნაწილობრივი ან სრული ჩაქრობა. აღნიშნული რისკის რეალიზაცია მოსალოდნელია ზაფხულის პერიოდში, როდესაც გამოირთვება თბოსადგურები და შესაბამისად, იზრდება ეგხ ,,იმერეთის“ დატვირთვის ხარისხი. ეგხ ,,იმერეთის“ გამორთვით, სსე-ს მიადგება რეპუტაციული და ფინანსური ზარალი, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივეგხ ,,იმერეთი" ეკუთვნის არა სსე-ს, არამედ კომპანია ,,საქრუსენერგოს". სსე-ს რეპუტაციული ზიანი მიადგება როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორს, ხოლო ფინანსურ ზარალს კომპანია მიიღებს გადაუცემელი ელექტროენერგიიდან მიუღებელი შემოსავლის სახით.

**რისკის რეალიზაციის ალბათობა:** საშუალო

**რისკის მართვის მექანიზმი:**,,ავარიასაწინააღმდეგო ავტომატიკის სისტემა“ (ასა), რაც იძლევა, სხვადასხა სიტუაციაში, დაუგეგმავი გამორთვებით გამოწვეული არასასურველი შედეგების შერბილების შესაძლებლობას. აღნიშნული შედეგი მიიღწევა ელექტროენერგიის მომხმარებლების წინასწარ განსაზღვრული სქემით, ე.წ. ,,სელექციურად“ გამორთვის გზით. ასა-ს მოქმედების შედეგად იზღუდება მომხმარებლების მინიმალური რაოდენობა და ამავდროულად, ნარჩუნდება სისტემის მდგრადობა. იგეგმება: "იმერეთის“ პარალელური 500-იანი ხაზის მშენებლობა (ქ/ს ,,ჯვარი 500“-დან ქ/ს ,,წყალტუბო 220“-მდე); ასევე 500 კვ-იანი ხაზის მშენებლობა ქ/ს ,,წყალტუბო 500“-დან (მისი 500 კვ-იანად გადაკეთების შემდეგ), ქ/ს ,,ახალციხე 500“-მდე. ახალი 500 კვ-იანი ხაზის საშუალებით (ქ/ს ,,ჯვარი 500“-დან, ქ/ს ახალციხე 500“-მდე) მოხდება არსებული 500 კვ-იანი ეგხ ,,იმერეთის“ სრულფასოვანი რეზერვირება.

**რისკი 2:** შპს ,,ენერგოტრანსის" 400 კვ-იანი აქტივების რეგულირებადი აქტივების ბაზაში (რაბ) გაუთვალისწინებლობა.

**რისკის აღწერა:** სსე-ის შვილობილი კომპანიის შპს ,,ენერგოტრანსის" 400 კვ-იანი აქტივები: ქ/ს ,,ახალციხე 500"-ის ტერიტორიაზე მდებარე მუდმივი დენის ჩანართი და ეგხ ,,მესხეთი", საბალანსო ღირებულებით ≈ 250 მლრ. ლარი არ იქნება ჩართული რეგულირებადი აქტივების ბაზაში(რაბ). შედეგად, სსე (ჯგუფი), კერძოდ შპს ,,ენერგოტრანსი", ვერ შეძლებს აღნიშნულ აქტივებზე სატარიფო შემოსავლის მიღებას

**რისკის რეალიზაციის შესაძლო ეფექტი:**სსე-ის შვილობილი კომპანია შპს ,,ენერგოტრანსი" ვერ შეძლებს სახელმწიფოს გარანტიით მიღებული გრძელვადიანი საკრედიტო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვას (წლის განმავლობაში ≈ 30 მლნ. ლარის ოდენობით). აღნიშნული გარემოების დადგომის შემთხვევაში, საჭირო გახდება ფინანსთა სამინისტროსთვის შუამდგომლობით მიმართვა, გრძელვადიანი საკრედიტო ვალდებულებების გადავადების თხოვნით.

**რისკის რეალიზაციის ალბათობა:** საშუალო

**რისკის მართვის მექანიზმი:**სსე აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან აღნიშნული საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. სსე, ასევე, მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, აქტიური მოლაპარაკება აწარმოოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან გრძელვადიანი საკრედიტო ვალდებულების გადასავადებლად.

**რისკი 3:**მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დადგენილ ვადებში დასრულების შეუძლებლობა.

**რისკის აღწერა:**სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი კონტრაქტორის ბრალეულობით, ასევე, განსახლებისა და გარემოსდაცვითი საკითხების დროულად გადაუწყვეტელობის მიზეზით, დაგვიანდება მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება. ასევე, შეფერხდება საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება.

**რისკის რეალიზაციის შესაძლო ეფექტი:**ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად დაუსრულებლობა შეაფერხებს ქსელის საიმედოობის ხარისხის ამაღლების პროცესს. ასევე, დაგვიანდება ახალი ელექტროსადგურების გადამცემ ქსელთან მიერთება, რაც გამოიწვევს სსე-თვის (და სახელმწიფოსთვის) რეპუტაციული და ფინანსური ზიანის მიყენებას, ინვესტორების მიერ დაწესებული საჯარიმო სანქციების სახით. ახალი გენერაციის ობიექტების ქსელთან დროულად ვერ მიერთებახელს შეუშლის ქვეყნის, როგორც საიმედო პარტნიორის რეპუტაციის ჩამოყალიბებას და ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას. ასევე, ვინაიდან სსე-ის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება კომპანიისთვის წარმოადგენს შემოსავლის მიღების წყაროს, ინფრასტრუქტურული პროექტების შეფერხება ხელს შეუშლის შემოსავლის დაგეგმილი მაჩვენებლებლის მიღწევას.

**რისკის რეალიზაციის ალბათობა:** მაღალი

**რისკის მართვის მექანიზმი:**სსე-თვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ზუსტი ინფორმაციის მოპოვება ელექტროსადგურების მშენებლობის დასრულების თარიღის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომპანია პროაქტიურად იწყებს განსახლებისა და გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტაზე მუშაობას, აგრეთვე, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის მზადებას. თითოეულ ინფრასტრუქტურულ პროექტს, მათ შორის, განსახლებისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით, ხელმძღვანელობსსათანადო კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი გუნდი. პროექტების ეფექტურად და ეფეტიანად მართვის მიზნით, ასევე, განსახლებისა და გარემოსდაცვითი საკითხების დროულად და მართებულად გადასაწყვეტად, კომპანიაში ფუნქციონირებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. პროცესი მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნების სრული დაცვით. მშენებლობაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორის გამოსავლენად ტარდება საერთაშორისო ტენდერი,

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. სატენდერო პროცესში მოწმდება პოტენციური მიმწოდებლის გადახდისუნარიანობის საკითხი.

**რისკი 4:** ეროვნული ვალუტის - ლარის გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში.

**რისკის აღწერა:**ლარის გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან - ევროსთან და აშშ დოლართან მიმართებაში გამოიწვევს უცხოურ ვალუტებში ნომინირებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების გაზრდას. რისკის დადგომის ალბათობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა ახალი კორონავირუსის SARS-COV-2 პანდემიის პირობებში.

**რისკის რეალიზაციის შესაძლო ეფექტი:** სსე-ს (ჯგუფს), გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი (1 მლრ. ლარზე მეტი), მიღებული აქვს ევროსა და აშშ დოლარში. შესაბამისად, ლარის გაუფასურება აღნიშნულ ვალუტებთან მიმართებაში,გამოიწვევს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ლარში გაზრდას. აღნიშნული რისკი განსაკუთრებით კრიტიკულია იმ ფონზე, როდესაც სსე საოპერაციო შემოსავალს იღებს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

**რისკის რეალიზაციის ალბათობა:**მაღალი

**რისკის მართვის მექანიზმები:**საქართველოში კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული რისკების მართვის ეფექტური მექანიზმების (პროდუქტების) არარსებობის გამო, სსე იღებს აღნიშნულ რისკს. თუმცა, კომპანია მუდმივად ატარებს ე.წ. ,,სტრეს ტესტს" გადახდისუნარიანობის შესამოწმებლად, გაცვლითი კურსის სხვადასხვა სიდიდისთვის. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში მიმდინარეობს მოლაპარაკება მსოფლიო ბანკთან, კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული რისკის დამზღვევი პროდუქტის შეძენაზე, ასევე, სსე-ს არსებული, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ლარში რეფინანსირებაზე. (მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში ნომინირებული ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით).

**რისკი: 5** უარყოფითი საკუთარი კაპიტალის მნიშვნელობა

**რისკის აღწერა:** კომპანიის საკუთარი კაპიტალი უარყოფითია, რაც გამოწვეულია წლების მანძილზე მიღებული წმინდა ზარალით. აღნიშნული უარყოფითი ფინანსური შედეგი განაპირობა კურსთაშორის სხვაობით მიღებულმა ზარალმა, წინა წლებში შპს ,,ენერგოტრანსის" აქტივების გაუფასურებამ ≈ 290 მლნ. ლარის ოდენობით.

**რისკის რეალიზაციის შესაძლო ეფექტი:**სსე-ის (ჯგუფის) საკუთარი კაპიტალის უარყოფითმა სიდიდემ შესაძლოა გაართულოს ურთიერთობა ინვესტორებთან - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოების გამო შემცირდება ნდობა სსე-ს, როგორც გადახდისუნარიანი საწარმოს მიმართ.

**რისკი რეალიზაციის ალბათობა:** საშუალო

**რისკის მართვის მექანიზმები:**სსე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ფინანსური ინფორმაციის კომუნიკაციის მიზნით. ასევე, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების გარანტორია საქართველოს სახელმწიფო (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო), რაც ამცირებს სასესხო ვალდებულებების გადაუხდელობის რისკს. შპს ,,ენერგოტრონსის" 400 კვ-იანი აქტივების რაბ-ში ჩართვის შემთხვევაში, მოხდება გაუფასურებული აქტივების აფასება და შესაბამისად, სსე (ჯგუფი) მიიღებს 290 მლნ. ლარის არასაოპერაციო შემოსავალს, რაც საკუთარი კაპიტალის არსებულ უარყოფით სიდიდეს დადებითით შეცვლის.

**რისკი 6:** კიბერ-თავდასხმა სსე-ის აქტივებზე

**რისკის აღწერა:**სსე-ის საინფორმაციო აქტივებზე განხორციელდება კიბერ-თავდასხმა.

**რისკის რეალიზაციის შესაძლო ეფექტი:** კიბერ-თავდასხმის შემთხვევაში შესაძლოა, მოხდეს გადამცემი ქსელის სრული ან ნაწილობრივი ჩაქრობა, რაც სსე-ის მიაყენებს რეპუტაციულ და ფინანსურ ზარალს. კიბერ-თავდასხმის შედეგი უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

**რისკის ალბათობა:** საშუალო

**რისკის მართვის მექანიზმები:**რისკის მართვის მიზნით, სსე ნერგავს ინფორმაციული უსაფრთხოების მართის სისტემას (ISO 27000, C2M2). ასევე, დაგეგმილია შემდეგი ტექ. გადაწყვეტების დანერგვა: SIEM, DesktopSecurity, IDS/IPS, DLP. მომავალში დაგეგმილია SOC (SecurityOperationCenter)-ისა და CIRT (CyberIncidentResponseTeam)-ის შექმნა.

**რისკი 6:** ბიზნესის უწყვეტობის შესაძლო შეფერხება/მოშლა.

**რისკის აღწერა:**ვინაიდან სსე წარმოადგენს ფუნდამენტური საზოგადოებრივი მომსახურების მიმწოდებელ კომპანიას, აღნიშნული რისკის რეალიზებისას განცდილი ზიანი შესაძლოა გავიდეს კომპანიის ფარგლებს გარეთ და შეეხოს თითოეულ მოქალაქეს. რისკის დადგომის მიზეზი შესაძლოა იყოს კრიტიკული მნიშვნელობის პერსონალის ავადობის მაღალი მაჩვენებელი. რისკის ესკალაცია გამოიწვია ახალი კორონავირუსის SARS-COV-2 პანდემიამ.

**რისკის რეალიზაციის შესაძლო ეფექტი:**სსე-ში პერსონალის მიმართ არსებული ზოგიერთი სავალდებულო კვალიფიკაციის მოთხოვნა ზღუდავს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მათი სხვა (კვალიფიკაციის არ მქონე) მუშაკებით ჩანაცვლების შესაძლებლობას. ავადობის მაღალი მაჩვენებლისა და სათანადო კვალიფიკაციის თანამშრომელთა ჩანაცვლების შეუძლებლობის გამო, კომპანია ვერ შეძლებს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას (ელექტროენერგიის გადაცემა/დისპეტჩერიზაცია).

**რისკის ალბათობა:** საშუალო

**რისკის მართვის მექანიზმები:**რისკის მართვის მექანიზმს წარმოადგენს მუშაობის სათადარიგო გეგმები, გამართული ლოგისტიკა, შესაბამისი შესაძლებლობების მქონე IT სისტემები, არსებული სათადარიგო გეგმების გატესტვის პრაქტიკა, კომპანიის მიერ საჭირო რაოდენობის და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის განსაზღვრა, დაქირავება და განსაკუთრებულ სიტუაციებში მოქმედებისთვის მათი მომზადება ტრენინგებითა და ინსტრუქტაჟებით, შიდა და გარე კომუნიკაციების ჯაჭვის ჩამოყალიბება, გადაუდებელი აუცილებლობისა და არაკრიტიკული მნიშვნელობის საქმიანობების მკვეთრი გამიჯვნა, შესაბამისი "მზადყოფნის პოლიტიკები".


## 6. 2019 წლის ფაქტები და მაჩვენებლები

| სისტემის მაჩვენებლები | სიდიდე/ერთეული |
|---|---|
| პიკური მოხმარება (მლნ კვტ სთ) | 41.8 |
| პიკური დატვირთვა (მვტ) | 2035.0 |
| სეზონური სადგურების გენერაცია(მლნ კვტ სთ) | 3,970.1 |
| მარეგულირებელი სადგურების გენერაცია(მლნ კვტ სთ) | 4,969.5 |
| თბოსადგურების გენერაცია(მლნ კვტ სთ) | 2,840.4 |
| ქართლის ქარის ელექტროსადგური (მლნ კვტ სთ) | 84.7 |
| ექსპორტი(მლნ კვტ სთ) | 243.4 |
| იმპორტი (მლნ კვტ სთ) | 1626.5 |
| სულ მოხმარება(მლნ კვტ სთ) | 13,247.8 |
| სულ გენერაცია (მლნ კვტ სთ) | 11,864.7 |

სეზონური ელექტროსადგურების გამომუშავებამ შეადგინა 3,970.1 მლნ კვტსთ, რაც დღე-ღამეში საშუალოდ 10, 88 მლნ კვტსთ-ს შეადგენს.

პიკურ დატვირთვას (2035 მგვტ.) ადგილი ჰქონდა 2019 წლის 19 დეკემბერს, მაქსიმალური მოხმარება დაფიქსირდა 2019 წლის 1 მარტს და შეადგინა 41.8 მლნ. კვტსთ. მთელი წლის განმავლობაში საშუალო სიხშირის მაჩვენებელი სტანდარტულთან მაქსიმალურად იყო მიახლოებული და 49.999-50.004 ჰერცს შორის მერყეობდა.

2019 წელს ადგილი ჰქონდა სისტემის 2 (ორ) ნაწილობრივ გათიშვას. აქედან 1(ერთი) განპირობებული იყო 500კვ. ძაბვის ეგხ „იმერეთის" ავარიული გამორთვით და (ერთი) 220კვ. ძაბვის ეგხ ,,ალავერდის" ავარიული გამორთვით, აღნიშნული ავარიების შედეგადად მომხმარებლებს შეეზღუდათ ელ. ენერგიის მიწოდება.




2019 წელს საქართველოს ენერგოსისტემა პარალელურ რეჟიმში მუშაობდა აზერბაიჯანისა და რუსეთის ენერგოსისტემებთან.


იმპორტი ხორციელდება ზამთარში გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო ექსპორტი – ზაფხულის თვეებში ბუნებრივი წყალუხვობისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის სიჭარბის გამო.

ელექტროენერგიის სალდომ: რუსეთის ენერგოსისტემასთან შეადგინა 465.318 მლნ კვტსთ (იმპორტი 524.533 მლნ კვტსთ და ექსპორტი 59.215 მლნ კვტსთ); აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან შეადგინა 1089.87 მლნ კვტსთ (იმპორტი 1101.976 მლნ კვტსთ და ექსპორტი 12.106 მლნ კვტსთ); სომხეთის ენერგოსისტემასთან შეადგინა - 59.303 მლნ კვტსთ (იმპორტი 0.00 მლნ კვტსთ და ექსპორტი 59.303 მლნ კვტსთ); თურქეთის ენერგოსისტემასთან შეადგინა -112.794 მლნ კვტსთ (იმპორტი 0.00 მლნ კვტსთ და ექსპორტი 112.794 მლნ კვტსთ). ბოლო სამი წლის განმავლობაში დისპეტჩირებული ელექტროენერგიის საშუალო წლიური მოცულობა შეადგენს 12,9 მილიარდ კვტსთ-ს.


ექსპორტ-იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2019




ექსპორტ-იმპორტი თვეების მიხედვით 2019



გენერაცია, მოხმარება, ექსპორტი, იმპორტი 1995-2019



## 7. სსე გადაცემა

სსე-სა და მისი შვილობილი კომპანიის - „ენერგოტრანსის“ ბალანსზე ირიცხება 500/400/220/110/35კვ გადამცემი ხაზები საერთო სიგრძით - 3 434 კმ, და 93 ქვესადგური საერთო დადგმული სიმძლავრით - 11 938 მვა, მათ შორის ექვსი (6) სტრატეგიული მნიშვნელობის 500 კვ ქვესადგური და თვრამეტი (18) 220კვ ქვესადგური.

საქართველოს ელექტროენერგიის გადაცემის ქსელი ოპერირებს 500/400/330/220/110/35კვ ძაბვაზე. 500კვ მაგისტრალური გადამცემი ხაზი (“კავკასიონი” -“იმერეთი” -“ქართლი -2”- “ქართლი -1”) უკავშირდება რუსეთს და ქვეყნის ჩრდილო -დასავლეთით განლაგებულ გენერაციის მსხვილ ობიექტებს (მათ შორის “ენგურჰესი”). ასევე არსებობს საკმაოდ ფართო 220კვ გადამცემი ქსელი, რომელიც დაკავშირებულია გენერაციის სხვა ობიექტებთან და მოთხოვნა -მოხმარების ცენტრალურ რეგიონებთან.

საქართველოს ენერგოსისტემა რუსეთს უკავშირდება 500კვ და 220კვ გადამცემი ხაზებით (აფხაზეთის გავლით), აზერბაიჯანს - 500/330კვ, სომხეთს - 220კვ, ხოლო თურქეთს – 220/400კვ გადამცემი ხაზებით. ასევე არსებობს იზოლირებული 110კვ კავშირები სომხეთთან და რუსეთთან. აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი 500/330კვ და თურქეთთან დამაკავშირებელი 220კვ ელექტროგამცემი ხაზები წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოსა და რუსეთის ფედერალური ქსელის კომპანიის 50% -50% წილობრივი მონაწილეობით მოქმედი გადაცემის ლიცენზიანტის - სს „საქრუსენერგოს“ საკუთრებას; ხოლო ელექტროგადაცემის მომსახურებისათვის განკუთვნილი 220კვ ხაზების უმრავლესობა და 110/35კვ ქსელის ნაწილი ეკუთვნის სსე-ს.

სსე-ის შვილობილი კომპანია „ენერგოტრანსი“ ფლობს 500კვ ელექტროგადამცემ ხაზებს „ვარძია“, „გაჩიანი“ და „ზეკარი“ და თურქეთთან დამაკავშირებელ 400კვ ხაზს „მესხეთი“, რომელთა რეაბილიტაცია/მშენებლობა განხორციელდა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ ფარგლებში. აღნიშნული ახალი ხაზების მეშვეობით, იქმნება ქვეყნის დასავლეთ ნაწილის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი მეორე 500კვ ქსელი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გადაცემის სისტემის სტაბილურობას და უზრუნველყოფს თურქეთში დამატებითი 1,050მგვტ სიმძლავრის გატანის შესაძლებლობას.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ქსელის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და გათიშვებისა და ავარიების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებში პირველადი და მეორადი მოწყობილობების შეცვლამ და შეკეთებამ დისტანციური მართვის ელექტრონული სისტემებისა და უახლესი აღჭურვილობის დანერგვა-დამონტაჟებამ ხელი შეუწყო გადამცემი სისტემის სრული გათიშვების რიცხვის შემცირებასა და მომხმარებლებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევას.

ქსელის ტექნიკური სანდოობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად სსე ახორციელებს პროექტებსა და ინიციატივებს, რომელთა მიზანია კომპანიის გადამცემი ინფრასტრუქტურისა და დისპეტჩერიზაციის შესაძლებლობათა შემდგომი გაუმჯობესება და განვრცობა, რათა კომპანია სრულ მზადყოფნაში შეხვდეს იმ ახალ მოთხოვნებს, რასაც მას ელექტროენერგიით რეგიონული ვაჭრობის გაძლიერება უყენებს.

## სსე/ენერგოტრანსის გადამცემი ქსელის მონაცემები

| ხაზები | | ქვესადგურები | | |
|---|---|---|---|---|
| ძაბვა (კვ) | სიგრძე (კმ) | ძაბვა (კვ) | რაოდენობა | სიმძლავრე (მვა) |
| 500 | 268 | 500 | 5 | 4647 |
| 400 | 32 | 500/400 | 1 | 1346 |
| 220 | 1644 | 220 | 18 | 5252 |
| 110 | 925 | 110 | 27 | 504 |
| 35 | 565 | 35 | 42 | 189 |

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით, 2019 წელს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ საკუთარი სახსრებით მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა, მათ შორის:

- 500 კვ ეგხ ,,ლია- 1; 2“-ზე - სამი ანძის აწყობა-მონტაჟი
- 220 კვ ეგხ „ჯვარი-ხორგა“ - (ოდიში - 1; 2) 17 ანძის აწყობა
- ხრამი 2-დან - 220კვ ეგხ ალგეთის №92 ანძიდან გადასვლა 500კვ ეგხ ვარძიის №210 ანძამდე ოპტიკური კაბელით 25კმ;
- 110 კვ ეგხ „დარიალის“ - ,,110 კვ ეგხ ,,დარიალი“-ს №42 საყრდენის (220 კვ გაბარიტებში), 500 კვ ეგხ ,,ქსანი-სტეფანწმინდა“-ს №247 საყრდენთან დაკავშირება”;
- ქ/ს ლაჯანურში - 220 კვ და 110 კვ სისტემის დაკავშირება ე.გ.ხაზით
- 220 კვ. ე.გ.ხ.,,ალავერდი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტით განსაზღვრული მეორე ეტაპის სამუშაოები
- 110 კვ ე.გ.ხ იფარის ცალკეული მონაკვეთების რეაბილიტაცია (#139 და #162 ანძის ამაღლება 8,5 მ სექციით; #137 - #138 მალში 1ც ანძის ჩამატება)
- ქვ.ს ,,იფარში“ 110კვ მოწყობილობების ფუნდამენტების მონტაჟი;
- 35 კვ ე.გ.ხ მესტიის #30 - #31 მალში ანძის ჩამატება გაბარიტის აღდგების მიზნით;
- ქ/ს კახარში შეჭრის პროექტით 110კვ მოწყობილობების ფუნდამენტების მონტაჟი;
- ქ/ს ბადიაური 110-ში პორტალური ანძების, ანძების და 110კვ მოწყობილობის ფუნდამენტების მონტაჟი;
- 220 კვ. ე.გ.ხ.,,ალავერდი“-ს გაორჯაჭვიანების პროექტით კცთ 2-ში 220კვ მოწყობილობების ფუნდამენტების მონტაჟი;
- 220კვ ეგხ ,,დიდგორის’’ #27-30 მალში დაზიანებული სადენი შეიცვლა ახალი სადენით
- 110 კვ ე.გ.ხ. "თონეთი" -2 - ს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია N300-327 და #341 - #354 მალებში. (სადენის შეცვლა);

2019 წელს სსე-მ საკუთარი სახსრებიდან მთლიანობაში, 45.6 მილიონი ლარი დახარჯა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად.

# 8. სტრატეგიული დაგეგმვა 2020-2030

## გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა

ის ახალი შესაძლებლობები, რომელიც გაჩნდა მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის ვაჭრობის მხრივ, ქვეყნის მასშტაბით ელ. ენერგიის მოხმარების ზრდის მაღალი დონე და ასაშენებელი ელსადგურების სიმძლავრის გამოტანის უზრუნველყოფა, აუცილებელს ხდის გადაცემის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას.

სსე-მ, როგორც გადაცემის სისტემის ოპერატორმა, შეიმუშავა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2030 წლამდე პერიოდისათვის, ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და საიმედოობის უფრო მაღალი სტანდარტების მისაღწევად. აღნიშნული გეგმა დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 20 მარტს #1-1/145 ბრძანებით. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები არიან: არჩილ კოხტაშვილი, ელექტრული რეჟიმების და განვითარების სამსახურის უფროსი და გიორგი ვახტანგაძე, გადამცემი ქსელის დაგეგმვის და განვითარების განყოფილების უფროსი.

ქვემოთ მოყვანილია პროექტები, რომელთა განხორციელებაც იგეგმება 2020-2030 წლებში:

**ჯვარი - ხორგას პროექტი მოიცავს:**

- ორჯაჭვა 220 კვ ეგხ "ოდიში 1,2" (ჯვარი-ხორგა)
- 500 კვ ეგხ „კავკასიონის" შეჭრა ქ/ს „ჯვარი 500/220"-ში და ეგხ "ოდიში 1, 2"

**ბათუმი - ახალციხის პროექტი მოიცავს:**

- ორჯაჭვა 220 კვ ეგხ შუახევი-ახალციხე
- 220/110 კვ ავტოტრანსფორმატორი და ამწევი ქვესადგური შუახევში

**ქსანი-სტეფანწმინდა - მოზდოკის პროეტი მოიცავს:**

- 500/110 კვ ქ/ს „სტეფანწმინდა"
- 500კვ ერთჯაჭვა ეგხ ქ/ს „სტეფანწმ."-ქ/ს „დარიალჰესი"-რუს. საზღვარი

**მარნეულის პროექტი მოიცავს:**

- 500 კვ ეგხ "მარნეული-აირუმი"

**კოლხიდა 1-ის რეაბილიტაცია:**

- 220 კვ ეგხ „კოლხიდა-1"-ის რეაბილიტაცია

**500კვ ჯვარი - წყალტუბო-ახალციხის პროექტი მოიცავს:**

- 500კვ ერთჯაჭვა ეგხ-ის "ჯვარი-წყალტუბო" მშენებლობა
- 500კვ ქს-ის "წყალტუბო" მშენებლობა
- 500კვ ეგხ-ის "წყალტუბო-ახალციხე" მშენებლობა
- 500კვ ქს-ის "ახალციხე" გაფართოება

**ჩრდილოეთის რგოლი - წყალტუბოს პროექტი მოიცავს:**

- 220/110 კვ ქვესადგური „ლაჯანური“ 250 მგვა
- ერთჯაჭვა 220 კვ ეგხ ქ/ს ლაჯანური-ლაჯანურჰესი
- 500 კვ ეგხ ლაჯანური-წყალტუბო
- ორჯაჭვა 220 კვ ეგხ ხელედულა-ლაჯანური
- ორჯაჭვა 220 კვ ეგხ ონი-ლაჯანური
- 500/220/110 კვ ქ/ს „ნენსკრა“
- ქ/ს მესტია 35-ის გაფართოება 110 კვ ფრთით უჯრედების მოწყობა
- ორჯაჭვა 220 კვ ეგხ ნენსკრა-მესტია
- 500 კვ ეგხ „კავკასიონის“ შეჭრა ქვესადგურ “ნენსკრაში”
- ორჯაჭვა 220 კვ კავშირი ნენსკრაჰესი-ქ/ს ნენსკრა
- ქ/ს ლაჯანური 220/110-ის გაფართოება 500 კვ ფრთით

**გურიის გადაცემის ინფრასტრუქტურის გაძლიერების პროექტი მოიცავს:**

- 220/110კვ ქვესადგური "ოზურგეთი"
- 220კვ ეგხ "პალიასტომიდან" ორჯაჭვა ეგხ-ის შეჭრა 220/110 კვ ქს-ში "ოზურგეთი"
- 110კვ ხაზი "ოზურგეთი-ზოტიჰესი"

**ახალციხე - თორთუმის პროექტი მოიცავს:**

- 400 კვ ეგხ ახალციხე-თორთუმი, საქართველოს საზღვრამდე
- 500 კვ ქ/ს "ახალციხის" გაფართოება 400 კვ ეგხ ახალიციხე-თორთუმის მისაერთებლად და უჯრედის მოწყობა
- 500/400 კვ მუდმივი დენის ჩანართის მესამე ბლოკი ქ/ს „ახალციხეში“

**ბათუმი-მურატლის პროექტი მოიცავს:**

- 220/154 კვ მუდმივი დენის ჩანართი ქ/ს „ბათუმში“
- 154 კვ ეგხ ბათუმი-მურატლი

**ნამახვანი-წყალტუბოს პროექტი მოიცავს:**

- 220კვ ეგხ "ნამახვანი - წყალტუბო"
- 220კვ ეგხ "ქვემო ნამახვანი - ზემო ნამახვანი-ლაჯანური"
- 220 კვ ქვესადგურ წყალტუბოს გაფართოება

**იმერეთის რეაბილიტაციის პროექტი მოიცავს:**

- 500 კვ ეგხ „იმერეთის“ რეაბილიტაცია
- 500 კვ ქვესადგურების ზესტაფონის და წყალტუბოს გაფართოება

**ქვესადგურების განახლების პროექტი მოიცავს:**

- ქ/ს ზესტაფონში 500/220 კვ ატ-ის A და B ფაზის შეცვლა; ქ/ს გარდაბანში 500/220 კვ ატ-ის C ფაზის შეცვლა
- ქ/ს ბათუმი 220-ში ატ3-სთვის 220 კვ უჯრედის მოწყობა და 110 კვ-ის უჯრედში დენის ტრანსფორმატორის შეცვლა
- ქ/ს ბათუმი 220-ში ტ3-სთვის 110 კვ უჯრედის მოწყობა
- ქ/ს გორი 220-ში ქ/ს გლდანიდან გადატანილი ატ2-ისთვის 220/110 კვ უჯრედების შესყიდვა-მოწყობა

- ქ/ს წყალტუბო 220-ში ქ/ს ქუთაისიდან გადატანილი ატ2-ისთვის 220/110 კვ უჯრედების შესყიდვა-მოწყობა
- 110 კვ ძაბვის ორი უჯრედის მოწყობა ქ/ს ზესტაფონში
- 110 კვ ფრთა და 220/110 კვ 2x63 მგვა ატ ქ/ს ახალციხეში
- 110 კვ ფრთა და 220/110 კვ 2x63 მგვა ატ ქ/ს ჯვარში
- 15 ქვესადგურის ინფრასტრუქტურის განახლება
- 110/35 კვ ფრთა და 220/110/35 კვ ატ ქ/ს ონი 220-ში

**კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერების პროექტი მოიცავს:**

- ორჯაჭვა 110 კვ ეგხ თელავი-გურჯაანი, 220 კვ გაბარიტებში
- ეგხ თელავი-გურჯაანის ერთი ჯაჭვის შეჭრა ქვესადგურებში, წინანდალი და მუკუზანი
- ორჯაჭვა 110 კვ ეგხ თელავი-ახმეტა, 220 კვ-ის გაბარიტებში
- 220/110 კვ ქ/ს გურჯაანის რეაბილიტაცია
- ქ/ს-ების ახმეტა 110, წინანდალი 110 და მუკუზანი 110 რეკონსტრუქცია
- 35 კვ ქსელის მშენებლობა/რეაბილიტაცია ქ/ს ნაფარეულიდან სტორი ჰესის გავლით თუშეთის მიმართულებით
- 110 კვ ეგხ სტორი ჰესი-თელავის მშენებლობა
- ქ/ს თელავის გაფართოება 220 კვ ფრთით და 220/110 კვ
- 220 კვ ეგხ ახმეტა-ჟინვალი
- 220/110 კვ ქვესადგური ჟინვალში

**რეაქტიული სიმძლავრის წყაროს პროექტი მოიცავს: (კონდენსატორთა ბატარეა):**

- 600 მგვარ რეაქტიული სიმძლავრის მაკომპენსირებელი მოწყობილობები თბილისის 220 კვ ძაბვის ქვესადგურებში

**თბილისის რეგიონის უსაფრთხო ელ. მომარაგების პროექტი მოიცავს:**

- 220 კვ ეგხ „ალავერდის“ შეჭრა ქვესადგურ მარნეულში
- 220 კვ ეგხ „ალავერდის“ ნაწილის რეაბილიტაცია
- 220/110/35 კვ ძაბვის ქ/ს ნორიო სიმძლავრით
- 220 კვ ეგხ ვარკეთილის შეჭრა ქ/ს ნორიოში
- ქ/ს ქსანში 500/220 კვ 501 მგვა ატ-ის შეცვლა
- 220 კვ ეგხ არაგვის გაორჯაჭვიანება
- 220 კვ ეგხ კუკიას გაორჯაჭვიანება
- ქ/ს ქსანში 500/220 კვ 501 მგვა ატ-ის შეცვლა

**220 კვ ეგხ ნავთლუხი-CCGT-გარდაბანის (ნავთლუღი 1,2) რეაბილიტაცია და 220 კვ მაგისტრალის „ზესტაფონი-ქსანი“ გაორჯაჭვიანების პროექტი მოიცავს:**

- 220 კვ ეგხ ნავთლუღი 1, 2-ის რეაბილიტაცია
- 220 კვ ეგხ სურამის რეაბილიტაცია
- 220 კვ ეგხ ურბნისის რეაბილიტაცია
- 220 კვ ეგხ ლიახვის რეაბილიტაცია

**330 კვ ეგხ გარდაბანი-აღსტაფას გაორჯაჭვიანების პროექტი მოიცავს:**

- 330 კვ ეგხ გარდაბანი-აღსტაფას გაორჯაჭვიანება
- 330/220 კვ, 400 მგვა ატ ქვესადგურ გარდაბანში

**საქართველო-რუსეთი-აზერბაიჯანის ელექტროენერგეტიკული სისტემების გაერთიანების პროექტი (ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა)**

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ჩამოტვირთოთ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2020-2030:

http://gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2020-2030_GEO.pdf

## 9. ადამიანური რესურსები


სსე-ში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დასაქმებულთა და ვაკანსიებზე მისაღებ კანდიდატთა განათლებას, ცოდნის დონესა და კვალიფიკაციას. შესაბამისად, სსე-ის პოლიტიკა ვაკანსიების საკადრო დაკომპლექტების მიმართ პრიორიტეტად მიიჩნევს შესაბამისი კანდიდატურების მოძიებას შიდა რესურსებიდან.


სსე-ში კადრების პროფესიონალიზმის დონის ამაღლება განუწყვეტელი პროცესია და გამოცდილი და კვალიფიციური კადრები ღირებულ და მნიშვნელოვან რესურსად მიიჩნევა.

ამასთან, სსე-ში მოქმედებს ორგანიგრამა (თანამდებობათა (სამუშაოთა) კლასიფიკაცია), რომელიც განსაზღვრავს სსე-ის თანამდებობრივ ვალდებულებებს და შესაბამის შრომის ანაზღაურებას.

ამასთან, სსე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იხდის საწარმოო ტრავმების შედეგად დაზარალებულ მოსამსახურეთათვის ზიანის ანაზღაურებას ყოველთვიური სარჩოს სახით, რისთვისაც შესაბამისი თანხები გამოიყოფა ყოველწლიურ ბიუჯეტში. კანონმდებლობის ცვლილებების შესაბამისად, გათვალისწინებულია აღნიშნული ანაზღაურებისა და დაფინანსების პოლიტიკის ადეკვატური კორექტირებებიც. სსე-ის ბიუჯეტი ითვალისწინებს იმ განსხვავებული კომპენსაციების გადახდასაც, რაც სავალდებულო იქნება განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით ან/და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით.

სსე-შიდასაქმებულთანამშრომელთარიცხოვნობა:




### ჯანმრთელობის დაზღვევის პოლიტიკა

2019 წელს განხორციელდა პროცედურული სახის სამუშაოები სადაზღვევო კომპანიასთან „PSP დაზღვევა“ ინფორმაციის გაცვლა-მიწოდების თვალსაზრისით. სულ დაზღვეული იყო 1443 თანამშრომელი და მათი 1816 ოჯახის წევრი.

## 10. გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა

ენერგეტიკული სექტორის განვითარებასთან ერთად და, ინფრასტრუქტურის მშენებლობით ეროვნული ეკონომიკის მხარდაჭერის პარალელურად, სსე-ს სრულად აქვს გაცნობიერებული დიდი პასუხისმგებლობა საქართველოს მდიდარი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მიმართ. ასევე, სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც სსე-ს წარმოექმნება მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების არეალში მოხვედრილ კერძო თემებისა და მოსახლეობის წინაშე. შესაბამისად, სსე-ს ყურადღება ყოველთვის მიმართულია გარემოზე ნებისმიერი შესაძლო ზემოქმედებისა და მოსახლეობის განსახლების მინიმუმამდე დაყვანისკენ. ამგვარად, მაქსიმალური გამჭირვალობის მიზნით, სსე-ს ყველა პროექტი ღიაა ფართო საზოგადოებისთვის და ყველა შესაბამისი გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტი (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები, განსახლების სამოქმედო გეგმები და ა.შ.) ექვემდებარება დეტალურ განხილვას, საზოგადო მსჯელობასა და საჭირო შესწორებებს. უფრო მეტიც, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტები მზადდება და ხორციელდება, როგორც სახელმწიფო მოთხოვნებისა და სტანდარტების, ასევე, შესაბამისი დონორი ორგანიზაციის წესებისა და პროცედურების მიხედვით, რაც გარემოსა და საზოგადოებაზე კიდევ მეტ ორიენტირებას უზრუნველყოფს. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, სსე-ს ჩართულობა გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების დარგში საერთაშორისო შეთანხმებებსა და სტანდარტებთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესში. მეორე მხრივ, სსე ყოველთვის ცდილობს ინფრასტრუქტურული კომპანიებისთვის საერთაშორისოდ აღიარებული ეფექტური პრაქტიკის სწრაფად დანერგვას. სსე ერთ-ერთი პირველია საქართველოში სამშენებლო პროექტებისთვის საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის მომზადებასა და საპილოტე რეჟიმის დანერგვაში. ეს ფაქტი ხაზს უსვამს სსე-ს პასუხისმგებლობასა და გამჭირვალობას საზოგადოებისა და კერძო სექტორის მიმართ. სსე კვლავაც განაგრძობს ეფექტური აქტივობების დანერგვას გარემოს დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების კუთხით.

კომპანიაში მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისი „გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის“ (ESMS) ჩამოყალიბების პროცესი, მათ შორის: სისტემის სქემისა და სტრუქტურის შექმნა; შიდაკორპორატიული მარეგულირებელი ESMS დოკუმენტების (პროცედურების, მართვის გეგმების, სამოქმედო პროგრამების) შემუშავება; გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის თვითაუდიტი; კომპანიის ოპერირებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების იდენტიფიცირება, მათი შერბილების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების მომზადება.

### კომპანიის ნარჩენების მართვის პროცესი

სსე-ში ნარჩენების მართვის პროცესი მიმდინარეობს შესაბამისი კანონის მოთხოვნის თანახმად - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება, ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. ასევე, ნარჩენების აღრიცხვისა და სამინისტროს წინაშე შესაბამისი ანგარიშგების ვალდებულება ეკისრებათ ნარჩენების წარმომქმნელს, რომლის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი (გარდა მუნიციპალური ნარჩენისა) ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება. კომპანიაში მზადდება ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს სსე-ს ობიექტებზე

ყოველი წლის ბოლოს ნარჩენების ინვენტარიზაციას, ასევე, მოსალოდნელი ნარჩენების სავარაუდო რაოდენობის შეფასებას, რომლებსაც ენიჭება შესაბამისი კოდი, თუ სახიფათო ნარჩენია - სახიფათოს მახასიათებლით. ასევე, მათი შეგროვების და ტრანსპორტირების, სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების, დროებითი შენახვის მეთოდების და პირობების, მათი დამუშავების ან განთავსებისთვის გამოყენებული მეთოდების და ოპერაციების (შესაბამისი კოდის მითითებით) შესახებ. კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმების მიზნით წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილობით ან იტვირთება აღნიშნული სამინისტროს ვებ. გვერდზე სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით. იმ პერსონალს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ნარჩენების მართვაში, პერიოდულად უტარდებათ ტრენინგები. სახიფათო ნარჩენების მართვის დროს ხდება განსაკუთრებული კონტროლი შესაბამისი წესების მიხედვით. ნარჩენების დაგროვების შესაბამისად, ცხადდება ტენდერი მათი გატანა-განთავსება დამუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით; ნარჩენების გადაცემისას კონტრაქტორი და სსე-ს შესაბამისი თანამშრომელი აზუსტებენ გადასაცემი ნარჩენების რაოდენობას/მოცულობას/მასას; კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული, როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად მზადდება და სამინისტროს წარედგინება ანგარიში.

## 11. 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

| ’000ლარიაქტივები | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **გრძელვადიანიაქტივები** | | |
| ძირითადისაშუალებები | 1,011,132 | 983,872 |
| არამატერიალურიაქტივები | 5,656 | 2,486 |
| გრძელვადიანაქტივებზეგადახდილიავანსები | 6,244 | 20,787 |
| სავაჭროდასხვამოთხოვნები | 1,211 | 6,140 |
| **სულგრძელვადიანიაქტივები** | **1,024,243** | **1,013,285** |
| **მოკლევადიანიაქტივები** | | |
| მარაგები | 14,753 | 12,944 |
| სავაჭროდასხვამოთხოვნები | 29,749 | 27,961 |
| მომწოდებლებზეგადახდილიავანსები | 1,747 | 4,759 |
| ფულიდაფულისექვივალენტები | 101,430 | 71,016 |
| **სულმოკლევადიანიაქტივები** | **147,679** | **116,680** |
| **სულაქტივები** | **1,171,922** | **1,129,965** |
| **კაპიტალიდავალდებულებები** | | |
| **კაპიტალი** | | |
| სააქციოკაპიტალი | 645,065 | 642,677 |
| დაურეგისტრირებელიკაპიტალი | 11,259 | 11,259 |
| უცხოურივალუტისგადაცვლისრეზერვი | 430 | 473 |
| დამატებით გადახდილი კაპიტალი | 11,680 | - |
| დაგროვილიდეფიციტი | (751,016) | (781,491) |
| **კომპანიის მფლობლებისთვის მიკუთვნებული კაპიტალი** | **(82,582)** | **(127,082)** |
| არასაკონტროლო წილი | 300 | - |
| **სულ კაპიტალი** | **(82,282)** | **(127,082)** |
| **გრძელვადიანივალდებულებები** | | |
| სესხებიდაკრედიტები | 967,792 | 481,410 |
| რესტრუქტურიზებულივალდებულებები | 23,113 | 36,874 |
| აქტივებთანდაკავშირებულიგრანტები | 102,736 | 105,579 |
| **სულგრძელვადიანივალდებულებები** | **1,093,641** | **623,863** |
| **მოკლევადიანივალდებულებები** | | |
| სესხებიდაკრედიტები | 82,525 | 556,458 |
| სავაჭროდასხვავალდებულებები | 55,936 | 54,760 |
| რესტრუქტურიზებულივალდებულებები | 19,267 | 17,000 |
| აქტივებთანდაკავშირებულიგრანტები | 2,835 | 4,966 |
| **სულმოკლევადიანივალდებულებები** | **160,563** | **633,184** |
| **სულვალდებულებები** | **1,254,204** | **1,257,047** |
| **სულკაპიტალიდავალდებულებები** | **1,172,922** | **1,129,965** |

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

| '000ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| შემოსავალი | 235,010 | 227,050 |
| სხვაშემოსავალი | 7,648 | 9,767 |
| ხელფასებიდაანაზღაურება | (31,089) | (27,565) |
| ცვეთადაამორტიზაცია | (45,121) | (46,924) |
| ძირითადისაშუალებებისგაუფასურება | (5,038) | (42,705) |
| სხვასაოპერაციოხარჯები | (64,408) | (53,878) |
| **შედეგებისაოპერაციოსაქმიანობებიდან** | **97,002** | **65,745** |
| ფინანსურიშემოსავალი | 14,595 | 7,779 |
| ფინანსურიხარჯები | (81,122) | (26,739) |
| წმინდაფინანსურიხარჯები | **(66,527)** | **(18,960)** |
| **მოგება/(ზარალი) მოგებისგადასახადამდე** | **30,475** | **46,785** |
| მოგებისგადასახადისხარჯი | | |
| **მოგებაწლისგანმავლობაში** | **30,475** | **46,785** |
| **სხვასრულიშემოსავალი /(ზარალი)** | | |
| *ანგარიშგებისელემენტები, რომელთარეკლასიფიკაციაშესაძლებელიამოგებაშიანზარალში* | | |
| უცხოუროპერაციებთანდაკავშირებულიუცხოურივალუტისგაცვლისსხვაობები | (43) | (42) |
| **სულსრულიმოგებაწლისგანმავლობაში** | **30,432** | **46,743** |
| **მოგება, მიკუთვნებული:** | | |
| კომპანიის მფლობელებისთვის | 30,475 | 46,785 |
| არასაკონტროლო წილი | | |
| | **30,475** | **46,785** |
| **სულ სრული შემოსავალი, მიკუთვნებული:** | | |
| კომპანიის მფლობელებისთვის | 30,432 | 46,743 |
| არასაკონტროლო წილი | | |
| | **30,432** | **46,743** |

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

| ’000ლარი | სააქციოკაპიტალი | დაურეგისტრირებელი | საკურსორეზერვი | დაროვილი დეფიციტი | დამატებით გადახდილი კაპიტალი | სულ | არასაკონტროლო წილი | სულ კაპიტალ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს | 639,052 | 11,259 | 515 | (828,276) | - | (177,450) | - | (177,450) |
| **სულსრულიშემოსავალიმოცემულიწლისთვის** | | | | | | | | |
| მოგებაწლისგანმავლობაში | - | - | - | 46,785 | - | 46,785 | - | 46,785 |
| **სხვასრულიზარალი** | | | | | | | | |
| უცხოუროპერაციებთანდაკავშირებულიუცხოურივალუტისგაცვლისსხვაობები | - | - | (42) | - | - | (42) | - | (42) |
| **სულსხვასაერთოზარალიმოცემულიწლისთვის** | **-** | **-** | **(42)** | **-** | **-** | **(42)** | **-** | **(42)** |
| **სულსაერთომოგებამოცემულიწლისთვის** | **-** | **-** | **(42)** | **46,785** | **-** | **46,743** | **-** | **46,743** |
| **შენატანები მფლობელების მიერ** | | | | | | | | |
| მფლობელისფულადიშენატანები | 1,900 | - | - | - | - | 1,900 | - | 1,900 |
| მფლობელისარაფულადიშენატანები | 1,725 | - | - | - | - | 1,725 | - | 1,725 |
| **სულშენატანებიმფლობელების მიერ** | **3,625** | **-** | **-** | **-** | **-** | **3,625** | **-** | **3,625** |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | **642,677** | **11,259** | **473** | **(781,491)** | **-** | **(127,082)** | **-** | **(127,082)** |
| ნაშთი 2019წლის 1 იანვარს | 642,677 | 11,259 | 473 | (781,491) | - | (127,082) | - | (127,082) |

| | მმართველობითი ანგარიში 2019 წელი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულსრულიზარალიმოცემულიწლისთვის** | | | | | | | | | |
| მოგება წლის განმავლობაში | - | - | - | 30,475 | - | 30,475 | - | 30,475 | |
| **სხვასრულიზარალი** | | | | | | | | | |
| უცხოუროპერაციებთანდაკავშირებულიუცხოურივალუტისგაცვლისსხვაობები | - | - | (43) | - | - | (43) | - | (43) | |
| **სულსხვასაერთოზარალიმოცემულიწლისთვის** | - | - | **(43)** | - | - | **(43)** | - | **(43)** | |
| **სულსრული მოგება წლის განმავლობაში** | - | - | **(43)** | **30,475** | - | **30,432** | - | **30,432** | |
| **შენატანებიმფლობელების მიერ** | | | | | | | | | |
| მოდიფიკაციის ეფექტი დაკავშირებული მხარის სესხზე | - | - | - | - | 11,680 | 11,680 | - | 11,680 | |
| მფლობელის შენატანები - არაფულადი | 2,388 | - | - | - | - | 2,388 | - | 2,388 | |
| **სულ შენატანი მფლობელების მიერ** | **2,388** | - | - | - | **11,680** | **14,068** | - | **14,068** | |
| **ცვლილებები საკუთრების წილში** | | | | | | | | | |
| შვილობილი კომპანიის შექმნა არა-საკონტროლო წილით) | - | - | - | - | - | - | 300 | 300 | |
| **სულ ცვლილებები საკუთრების წილში** | - | - | - | - | - | - | **300** | **300** | |
| **ნაშთი 2019წლის 31 დეკემბერს** | **645,065** | **11,259** | **430** | **(751,016)** | **11,680** | **(82,582)** | **300** | **(82,282)** | |

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

| ’000ლარი | 2019 | 2018 |
|---|---|---|
| **ფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან** | | |
| მოგებამოგებისგადასახადამდე | 30,4 | 46,7 |
| *კორექტირებები:* | | |
| ცვეთადაამორტიზაცია | 45,1 | 46,9 |
| ძირითადისაშუალებებისგაუფასურებისზარალი | 5,038 | 42,705 |
| ძირითადისაშუალებებისგასხვისებითდაჩამოწერითგამოწვეულიზარალი | 4,751 | 7,441 |
| წმინდაფინანსურიხარჯი | 66,5 | 18,9 |
| შემოსავალიგრანტებისამორტიზაციიდან | (4,98 | (4,97 |
| | **146,9** | **157,8** |
| *ცვლილებები:* | | |
| მარაგები | (1,05 | (6,31 |
| სავაჭროდასხვამოთხოვნები | 3,014 | (6,17 |
| აქტივებთანდაკავშირებულიგრანტები | 15 | 2,788 |
| მომწოდებლებზეგაცემულიავანსები | 2,961 | (456) |
| სავაჭროდასხვავალდებულებები | 457 | 12,3 |
| **ფულადინაკადებიგანხორციელებულიოპერაციებიდანპროცენტისგადახდამდე** | **152,315** | **160,016** |
| გადახდილიპროცენტი | (32,24 | (21,24 |
| **წმინდაფულადისახსრებისაოპერაციოსაქმიანობიდან** | **120,0** | **138,7** |
| **ფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან** | | |
| მიღებულიპროცენტი | 14,5 | 6,636 |
| ძირითადისაშუალებებისადაარამატერიალურიაქტივებისშეძენა | (62,826) | (88,458) |
| **საინვესტიციოსაქმიანობაშიგამოყენებულიწმინდაფულადისახსრები** | **(48,231)** | **(81,822)** |
| **ფულადინაკადებიფინანსურისაქმიანობიდან** | | |
| შემოსავლებისესხებიდან | 15,8 | 32,3 |
| რესტრუქტურიზებულივალდებულებებისდაფარვა | (17,000) | (15,000) |
| სესხებისდაფარვა | (40,50 | (52,62 |
| სააქციოკაპიტალისგამოშვებიდანმიღებულიშემოსავლები | - | 1,900 |

| | მმართველობითი ანგარიში 2019 წელი | |
|---|---|---|
| **წმინდაფულადისახსრები (გამოყენებული)/ ფინანსურისაქმიანობიდან** | **(41,687)** | **(33,347)** |
| **წმინდაზრდაფულშიდამისექვივალენტებში** | **30,157** | **23,601** |
| ფულიდაფულისექვივალენტები 1 იანვარს | 71,0 | 47,2 |
| სავალუტოკურსისცვლილებისგავლენაფულზედამისექვივალენტებზე | 257 | 120 |
| **ფულიდაფულისექვივალენტები 31 დეკემბერს** | **101,4** | **71,0** |

წინამდებარე მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 24ივნისსდა ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

უჩა უჩანეიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმმართველი

მამუკასხილაძე
მმართველთასაბჭოსწევრი

| | მმართველობითი ანგარიში 2019 წელი | |
|---|---|---|
| წმინდაფულადისახსრები (გამოყენებული)/ ფინანსურისაქმიანობიდან | (41,687) | (33,347) |
| წმინდაზრდაფულშიდამისექვივალენტებში | 30,157 | 23,601 |
| ფულიდაფულისექვივალენტები 1 იანვარს | 71,0 | 47,2 |
| სავალუტოკურსისცვლილებისგავლენაფულზედამისექვივალენტებზე | 257 | 120 |
| ფულიდაფულისექვივალენტები 31 დეკემბერს | 101,4 | 71,0 |

წინამდებარე მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 24ივნისსდა ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

უჩა უჩანეიშვილი
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/
რეაბილიტაციის მმმართველი

მამუკასხილაძე
მმართველთასაბჭოსწევრი